# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 16 იანვარი, 2009 წელი.

№ 8 (6109)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.







## რა ერქმევა იმას, რაც ნამდვილად არ იქნება არც სოციალიზმი და არც „ძველებური“ კაპიტალიზმი?

## 2008: „დიადი გარდატეხის წელი“ გლობალურ ეკონომიკაში 6-7

სოსო ცისკარიშვილი:

## რუსეთი მთლიანად დღევანდელი ცივილიზაციისთვისაა საფრთხე 2



## ჟურნალისტები უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტების გამოძიებას ელიან 4



## 3 ოპოზიცია ბრძოლას ადრიან გაზაფხულზე იწყებს



## ერთი შვილის სიცოცხლე ვერაფრით იხსნა, ახლა სხვა შვილების გადასარჩენად იბრძვის 6

## მარტივი ხერხი იმისა, თუ როგორ დავხედოთ ზემოდან ადგილს, სადაც დრო ჩერდება 5






## ქართული ოპოზიცია 8 გაიფანტა

## აშშ-ში დაუსჯელობის სინდრომი გამეფდა 11

## აფხაზეთში ხვდებიან, რომ რუსი პოლიტიკოსებისთვის აფხაზური ეთნოსი და აფხაზეთი განსხვავებული ცნებებია 3



ხედვა

**რუსეთ-უკრაინის ე.წ. გაზის ომზე, კიევსა და მოსკოვს შორის დაპირისპირების სავარაუდო შედეგებზე და რუსეთის გვერდის ავლით „ნაბუქოს“ პროექტის განხორციელების შესაძლებლობაზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილს ესაუბრა.**

# სოსო ცისკარიშვილი: რუსეთი მთლიანად დღევანდელი ცივილიზაციისთვისაა საფრთხე



**— ბატონო სოსო, როგორ შეაფასებთ რუსეთ-უკრაინის ე.წ. გაზის ომს და, თქვენი აზრით, სავარაუდოდ, რით შეიძლება დასრულდეს იგი?**

— რუსეთ-უკრაინის გამწვავებული პოლიტიკური ურთიერთობის გამო ახალმა წელმა ევროპას ახალი თავისტკივილი მოუტანა: 10 ქვეყანაში რუსეთის საფრთხე რეალურად იგრძნეს. რუსეთის მოქმედება საყოველთაოდ აღიარებულია როგორც პარტნიორების მიმართ ენერგეტიკული იმპერიის უკმეხი ნაბიჯი და შეშფოთებაც ადეკვატური იყო.

არ არის გასაკვირი, რომ სწორედ უკრაინასა და აშშ-ს შორის გაფორმებულ დეკლარაციას მოჰყვა რუსეთის რეაქცია და დაიწყო ურთიერთბრალდებების სერია — ვინ არ აწვდის გაზს ევროპას, ვინ იპარავს მას, ვინ არღვევს მიღწეულ ხელშეკრულებებს. ფაქტია, რომ ძალიან თვალსაჩინოა როგორც ამ დაპირისპირების სიმძაფრე, ასევე მოქმედ პირთა — რუსეთის პრემიერისა და პრეზიდენტის არაადეკვატური ქმედება. აღსანიშნავია ისიც, რომ მედვედევი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ყოველგვარ საზღვარს გასცდა და აღიარა, რომ სურს სხვადასხვა ქვეყანაში თავად დააწესოს ბუნებრივი გაზის ფასები.

რუსეთი, როგორც დიდ საშინელებას ისე წარმოაჩენდა იმას, რომ უკრაინის მთავრობა საკუთარ მომხმარებლებს ბუნებრივ გაზს უფრო ძვირად ჰყიდის, ვიდრე თვითონ ყიდულობს მას რუსეთისაგან. რატომღაც რუსეთი დუმდა, როდესაც მისი ფავორიტი „იტერა“ სწორედ სამჯერ ძვირად აწვდიდა ბუნებრივ გაზს საქართველოს მომხმარებელს. რუსეთის სურვილი, სხვა ქვეყნებში ფასების რეგულირებისა, ევროპის სახელმწიფოებისთვის შემაშფოთებელია. მოსკოვის ეს სურვილი ევროპისთვის რუსეთის არანაკლებ ექსპანსიური ბუნების მაჩვენებელია, ვიდრე ეს სკანდალი.

**— ევროკავშირი უკვე გამოთქვამს მზადყოფნას, იანვრის ბოლოს განიხილოს რუსეთის გვერდის ავლით „ნაბუქოს“ გაზსადენის განხორციელების საკითხი. რამდენად რეალურია „ნაბუქოს“ პროექტის განხორციელება?**

— გაზის კრიზისის შედეგად მივიღეთ ევროკავშირის ქმედითუნარიანობის კიდევ ერთი დასტური. ევროკავშირის ახალი თავმჯდომარე ქვეყნის ჩეხეთის პრემიერ-მინისტრმა დროული ვიზიტები არ დაიზარა კიევსა და მოსკოვში. გაჭიანურების მცდელობის მიუხედავად, ახლა რუსეთი იძულებულია ითვალოს საკუთარი ზარალი იმ მიუწოდებელი გაზის საფასურის სახით, რაც ქვეყანას პოლიტიკური სპეკულაციის შედეგად დაუჯდა.

ამავე დროს ევროპა კიდევ უფრო ღრმად ჩაფიქრდა თავის პერსპექტივაზე. მიუხედავად იმისა, რომ ევროპა რუსეთის გაზის მხოლოდ 20 პროცენტს მოიხმარს, ეს მაინც იმდენად დიდი მოცულობაა, რომ პერსპექტივაზე ფიქრი კიდევ უფრო აქტუალური გახდა. ცხადია, რუსეთის გვერდის ავლით, რაიმე ტიპის გაზსადენის მარშრუტების გაჭრა რუსეთთან ახალი დაპირისპირების საფუძველი იქნება. მაგრამ ვითარებაში, როცა რუსეთის მოსახლეობის პუტინიზაცია პიკს აღწევს, ევროპა იძულებულია სრულად დაუპირისპირდეს რუსეთს, ვინაიდან მას სხვა გამოსავალი არ რჩება. ევროპა იძულებულია მზადება დაიწყოს საჯარო მსჯელობისთვის „ნაბუქოს“ პროექტის განსახორციელებლად, რომელიც რუსეთის ალტერნატივად განიხილება.

დიდი ენერგეტიკული ომი სრულიად მკაფიო კონტურებს იძენს. თუ ჩვენ ენერგეტიკულ სფეროში დაპირისპირებას განვიხილავთ როგორც ცალკე აღებულ ფენომენს, ვერ ვიტყვი, რომ რუსეთთან მიმართებაში ერთიან ევროპას მეტი ბერკეტი აქვს. თუ ევროპას სურს რაიმე ტიპის უპირატესობის მიღწევა, ენერგეტიკის საკითხი ცალკე არ უნდა განიხილებოდეს იმ გლობალური პროცესებისგან, რომელშიც ჩართულობის სურვილი რუსეთს აქვს. თუ რუსეთის მიმართ, როგორც არადემოკრატიული, არაკოლეგიალური, არათანამიმდევრული სახელმწიფოს მიმართ არ იქნა სანქციები გამოყენებული, არაფერი გამოვა, რადგანაც ენერგეტიკულ დუელში რუსეთი თავად იწვევს დუელიანტს და თავადვე ირჩევს იარაღს. ვგულისხმობ იმ ბერკეტებს, რომელიც მას „ნაბუქოს“ პროექტში, ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ორი ძირითადი ქვეყნის — თურქმენეთისა და ყაზახეთის მიმართ აქვს.

თურქმენეთმა და ყაზახეთმა საომარი მოქმედებების შემდეგ, გასულ წლის შემოდგომაზე ბაქოში გამართულ ენერგოსამიტზე ხელი არ მოაწერეს „ნაბუქოსთან“ დაკავშირებით მიღებულ დეკლარაციას. ამ ორი ქვეყნის წარმომადგენლებმა აზიური შორსმჭვრეტელობა გამოიჩინეს. მათ იცოდნენ, რომ დეკლარაციაზე ხელის მოწერით „ნაბუქოს“ საკითხი არ წყდებოდა, დეკლარაციას ხელი არ მოაწერეს, მაგრამ უარი თქვეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე და ამით, რაღაცით მაინც მოულბეს გული რუსეთს.

ვშიშობ, რომ რუსეთს არ ამოწურვია იმ შესაძლებლობათა ნუსხა, რომელიც ზემოქმედების სახით შესაძლოა საკმაოდ მწარე გამოდგეს თურქმენეთისა და ყაზახეთისთვის. მნიშვნელოვანია გარკვევა, თუ რამდენად რეალურია პერსპექტივა იმისა, რომ რუსეთისთვის თურქმენეთი და ყაზახეთი ის ურჩი მეზობლები იქნებიან, რომლებიც რუსეთს მათი ბუნებრივი რესურსების გამოყენების საშუალებას არ მისცემენ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უკვე არსებობს გრძელვადიანი შეთანხმება, რომლის საფუძველზე რუსეთი გახლავთ თურქმენეთის ბუნებრივი გაზის მყიდველი, თანაც მუდმივი ფასით, რომელიც ზრდის შემთხვევაში შეინარჩუნებს მიმზიდველობას.



რასაკვირველია, „ნაბუქო“ ევროპისთვის ალტერნატივაა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ რუსეთისთვის გაზის თემა ის იარაღია, რომელსაც იგი უკრაინისთვის ლესავს. უკრაინა რუსეთისთვის პრიორიტეტული საკითხია, ამიტომაცაა, რომ უკრაინასთან ურთიერთობების გარკვევას მოსკოვი ყირიმის თემითა და უკრაინაში მცხოვრებთათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების დემაგოგიით შეეცდება.

**— ეკონომიკური კრიზისის ფონზე, რამდენად სავარაუდოა, რომ კრემლმა საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანოს?**

— რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება არასოდეს არ აღიარებდა პრიორიტეტად კაცთმოყვარეობას და ადამიანს. ელცინის მმართველობის დროს დაიწყო ამაზე საუბარი, მაგრამ ამ თემებზე მსჯელობა ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. რუსეთის ხელისუფლება იმას უფრო ადვილად შეეგუება, რომ შიმშილით დაიხოცოს მილიონობით რუსი, ვიდრე დათმოს რაიმე ტიპის პრინციპული საკითხი, თუნდაც სამეზობლო ურთიერთობებში.

მუდმივი რუსული მენტალობა — არა უშავს, რომ ჩემი თეფში ცარიელია, მთავარია მეზობლის თეფშზე არ იყოს რამე ისეთი, რაც მე არა მაქვს, კვლავ საკმაოდ ძლიერია. ასეთი მიდგომით რუსეთი საფრთხეს წარმოადგენს მეზობლებისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ გლობალიზაციის პროცესში მეზობლობამ უკვე პლანეტარული მასშტაბი შეიძინა, რუსეთი საფრთხეს მთლიანად დღევანდელი ცივილიზაციისთვის წარმოადგენს.

ასეთ პირობებში ძნელია ვისაუბროთ იმაზე, რომ რუსეთი ამას ჩაიდენს და რაღაცას არ ჩაიდენს. რუსეთი ყველაფერზე წამსვლელია, თუ თავად შიგნით ქვეყანაში პროცესებმა არ აიძულა იგი მეტი ყურადღება საშინაო საქმეებს დაუთმოს. ამის წინაპირობები რუსეთში იქმნება. ყველას აღარ სურს დაჰყვეს ვითომდა რუსეთის ბედისთვის თავდადებული პუტინისა და მედვედევის კაპრიზებს. რუს ოლიგარქებს იმიტომ არ უშოვიათ ფული და არც იმიტომ გაჩნდა რუსეთში ამდენი მდიდარი ადამიანი, რომ პუტინისა და მედვედევის პოლიტიკურ ავანტიურას გადააყოლონ თავიანთი შრომა და კაპიტალი.

იმის პარალელურად, რაც ხდება ევროპაში, ვგულისხმობ კონსოლიდაციას რუსეთის წინააღმდეგ გადაწყვეტილებების მიღებისთვის მზადყოფნაში, იგივე პროცესები ჯერ უჩინრად, მაგრამ სულ უფრო ძალუმად რუსეთშიც წარმოჩნდება. ეს ისტორიული განვითარების ლოგიკაა. და ახლა მთავარია, როდის, როგორი ტემპით და რა ეფექტით დაიწყება რუსეთში ისტორიული მნიშვნელობის პროცესები. ნებისმიერ შემთხვევაში, ვითარებაში, როცა რუსეთი იმ პოლიტიკას ატარებს, რომელსაც ატარებს, კანონზომიერ ისტორიულ პროცესებს ვერაფერი შეაჩერებს.

**კობა ბენდელიანი**

ავანტიურა

# „ინტერ-რაო“ საქართველოს ენერგოსისტემის მეპატრონე ხდება?!

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმის წევრმა, პარლამენტარმა გურამ ჩახვაძემ საქართველოს ენერგოუსაფრთხოებისა და ენგურჰესის მართვის უფლების რუსულ კომპანია „ინტერ-რაოსთვის“ გადაცემის თაობაზე საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. მისი თქმით, ეს ხელშეკრულება რუსეთისთვის იურიდიულ საფუძველს ქმნის შემდგომში ამ სტრატეგიული ობიექტის ხელში ჩასაგდებად.**

— კომპანია „ინტერ-რაოს“ მართვაში ენგურჰესის გადაცემა ქმნის საფუძვლიან ეჭვს, რომ ამგვარი შეთანხმებით რუსეთი ცდილობს „ხავერდოვანი ფორმით“ მოახდინოს მიტაცებული ქონების ლეგალიზაცია. დამაფიქრებელია თვითონ მემორანდუმის მომზადებისა და მისი თბილისში ხელმოწერის პროცესის კონსპირაციულობა, მით უმეტეს, რომ დარღვეულია ხელისუფლების საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპი და საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია მემორანდუმის სრული ტექსტი.



გავრცელებული ინფორმაციით, კომპანია „ინტერრაო“ (მისი ხელმძღვანელია რუსეთის ვიცე-პრემიერი იგორ სიჩინი) უკვე აკონტროლებს საქართველოს ენერგოსისტემის 35 პროცენტს და ენგურჰესის მართვაში გადაცემით ის ფაქტობრივად ქართული ენერგეტიკის სრული მეპატრონე ხდება, — დასძინა გურამ ჩახვაძემ.

მან მტკნარი სიცრუე უწოდა მთავრობის განცხადებას იმის თაობაზე, რომ „ინტერრაოსთან“ დადებული ხელშეკრულება ენგურჰესის მესაკუთრედ მხოლოდ საქართველოს აღიარებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მემორანდუმის ხელმოწერას წინ უძღოდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კონსულტაციები აფხაზეთის სეპარატისტულ მთავრობასთან.

**ჯაბა ქვანია**

ინფორმაცია

## პირველი ლედი ობამას ინაუგურაციაზე

**აშშ-ის 44-ე პრეზიდენტის ბარაკ ობამას ინაუგურაციის ცერემონიას, რომელიც 20 იანვარს გაიმართება, საქართველოს პირველი ლედი დაესწრება. სანდრა რულოვსი ვაშინგტონში სპეციალურად ბარაკ ობამას ფიცის დადების ცერემონიაზე დასასწრებად ჩავა.**

**აშშ-ში ვიზიტის შემდეგ პირველი ლედი ჰოლანდიასა და ბელგიას ეწვევა. ის შეხვედრებს ჰოლანდიის პარლამენტისა და სენატის წევრებთან გამართავს.**

## ეუთო კი დაბლოკა, ევროკავშირის მისიას ვერ დაბლოკავს

**რუსეთი არის ოკუპანტი და ცდილობს, საერთაშორისო ორგანიზაციებმა რაც შეიძლება ნაკლები როლი ითამაშონ ჩვენს ქვეყანაში; ჩვენ რუსეთისგან არაფერ პოზიტიურს არ ველოდებით.**

**ასეთი განცხადება გააკეთა მთავრობის გუშინდელი სხდომის დაწყებამდე სახელმწიფო მინისტრმა ევროპასთან ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძემ.**

**სახელმწიფო მინისტრმა კომენტარი გააკეთა ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომის შესახებ, სადაც საქართველოში მისიის გაგრძელების საკითხი განიხილება.**

**ქართული მხარის ამოცანა არის სრულიად სხვა და საქართველოში ამ ეტაპზე იმყოფებიან ევროკავშირის დამკვირვებლები. თუ რუსეთი შეძლებს ეუთოს დაბლოკვას, მას არანაირი საშუალება არ გააჩნია, დაბლოკოს ევროკავშირის მისია, — აღნიშნა გიორგი ბარამიძემ.**

## ახლა კი ნამდვილად ეშველება ქვეყნის რეინტეგრაციას!

**გარდაბნის რაიონის სოფელ გარა ტეხლეს მკვიდრი სალავან მირზა ოღლუ მირზოევი რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის თემურ იაკობაშვილის მრჩევლად დაინიშნა.**

**სალავან მირზა ოღლუ მირზოევი 1986 წელსაა დაბადებული, 2007 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი.**

**სახელმწიფო მინისტრის მრჩევლის თანამდებობაზე დანიშვნამდე მირზოევი გარდაბნის რაიონის ადმინისტრაციაში მუშაობდა.**

**აღსანიშნავია, რომ უახლოეს დღეებში ქალაქ მარნეულში, სადაც აზერბაიჯანული მოსახლეობა კომპაქტურად ცხოვრობს, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მრჩეველი ახალ ოფისს გახსნის.**

ხო-ეიჩ-ენი

◎ კომპეტენტური აზრი



*აფხაზები ჩვენ გვაბრალებენ ყველა იმ უბედურებას, რაც მათ თავს დაატყდათ. ისინი ამბობენ, ჩვენ დამოუკიდებლობა გვინდოდა, მაგრამ არა ამ ფორმით, იმიტომ რომ ჩვენ ახლა თავს ვგრძნობთ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მაცხოვრებლებად და თქვენი ბრალია, რაც ჩვენთან ხდება, — აცხადებს ექსპერტი კავკასიის საკითხებში* **მამუკა არეშიძე** *სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენისათვის“ მიცემულ ინტერვიუში. ექსპერტი დარწმუნებულია, რომ საქართველოს დღევანდელ პირობებშიც კი უამრავი მექანიზმი აქვს რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად...*

# მამუკა არეშიძე: აფხაზეთში ხვდებიან, რომ რუსი პოლიტიკოსებისთვის აფხაზური ეთნოსი და აფხაზეთი განსხვავებული ცნებებია

**— თქვენ აცხადებდით, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემთხვევაში აფხაზებს, როგორც ეთნოსს გადაშენება ემუქრება. თქვენი ინფორმაციით რა მდგომარეობაა დღეს აფხაზეთში?**

— კონფლიქტამდე და დამოუკიდებლობის აღიარებამდე აფხაზები ისედაც უაღრესად საჩოთირო მდგომარეობაში იყვნენ. ეს მდგომარეობა გამოიხატებოდა შემდეგში: მათი ამოცანა დამოუკიდებლობის მიღწევა იყო და ამის მისაღწევად ბევრი რამ გასწირეს. ამ მიზნისათვის ბევრ რამეზე თქვეს უარი და კავკასიური თვისობრიობის წინააღმდეგ ბევრი ნაბიჯი გადადგეს.

მიუხედავად გამუდმებული საუბრისა, მათ ვერ მოახერხეს მოჰაჯირობის თემის მოგვარება. ისინი იძულებული იყვნენ, მოჰაჯირებთან ეთამაშათ, აფხაზეთის მესვეურებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ რუსეთი მოჰაჯირების მასობრივ დაბრუნებას არასოდეს დაუშვებდა. დღესაც მათი თითქოს მუშაობა ამ მიმართულებით მხოლოდ და მხოლოდ პიარია და სხვა არაფერი. 50 ათასი მოჰაჯირის დაბრუნებას ერთდროულად იქ არავინ დაუშვებს.

მეორე მხრივ, მათ მოიმდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიელები: ჩეჩნები — რომლებსაც არ დაეხმარნენ ომში, ინგუშები და ოსები — რომელთა კონფლიქტშიც ისინი არ ჩაერივნენ, ქართველებთან ურთიერთობაზე, საერთოდ, საუბარიც არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ქართული მხარის დანაშაული სერიოზულია, მათ მაინც რუსული პოლიტიკის კუდში დევნა არჩიეს.

გარდა ამისა, ისინი არ ეხმარებოდნენ ჩერქეზებს, ვგულისხმობ ადიღეელებს, ყაბარდოელებს და თავად ჩერქეზებს, საქმეში, რომელსაც ჩერქეზული უფლებების დაცვა ჰქვია. მართალია, ისინი რუსეთიდან გამოყოფას არ მოითხოვენ, მაგრამ სოჭის ოლიმპიადის ჩატარებაში მათი ინტერესების გათვალისწინებას ან ამ სამი დაშლილი რესპუბლიკის გაერთიანებას ითხოვენ.

ამას გარდა, როდესაც მთელი ჩრდილო კავკასიის ხალხები, განსაკუთრებით ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხები, სხვადასხვა ფორმით რუსეთის იმპერიის მიერ მათი გენოციდის აღიარებას ითხოვდნენ — მათ არც ამ საქმეში ამოუღიათ ხმა. ანუ, მათ ყველაფერი გადადეს იმისათვის, რომ დამოუკიდებლობისთვის მიეღწიათ. თავისას, ერთი შეხედვით, მიაღწიეს.

**— რა მოიგეს?**

— ნელ-ნელა ირკვევა, რომ — არაფერი. აფხაზეთში უკვე კარგად ხვდებიან, რომ აფხაზური ეთნოსი და აფხაზეთი რუსი პოლიტიკოსებისათვის განსხვავებული ცნებებია. ისევე როგორც თბილისში ხვდებიან, რომ ჟირინოვსკი ხშირ შემთხვევაში კრემლის გადაწყვეტილებებს ახმოვანებს, ასევე ხვდებიან ამას სოხუმში. ყველაფერი შემიძლია ვთქვა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ იქ არ არის ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი, იმიტომ, რომ ეს არ არის დაბალი ინტელექტის მქონე ერი. თბილისში, სამწუხაროდ, ვერ დაეჩვივნენ აფხაზური პრესის ყურადღებით წაკითხვას და ხშირ შემთხვევაში დღევანდელმა მთავრობამ არ იცის, ვინ რას წარმოადგენდა გუშინ და ვის უკან ვინ დგას. კლანური კავშირები კი იქ ძალიან სერიოზული და მნიშვნელოვანია. სახელმწიფო ჩინოვნიკების მინიმუმ ნათესაობა უნდა იცოდე, რომ გაარკვიო, რა შედეგს მიიღებ საბოლოო ჯამში.

**— გარდა ე. წ. დამოუკიდებლობისა, რა აქვთ აფხაზებს დღეს ხელში?**

— დღეს მათ ხელში აქვთ რუსული ბაზები, გაურკვეველი პოლიტიკური მომავალი, სერიოზული ზეწოლა რუსული პოლიტიკური და სამხედრო ელიტისაგან და მუდმივი სტრესის ქვეშ ყოფნა. შიში იმისა, რომ დღეს ან ხვალ მათ თავს არააფხაზ პრეზიდენტს მოახვევენ. გარდა ამისა, აქვთ შიში იმისა, რომ წაართმევენ მიწებს, რაც სრულიად რეალურია და ეს აუცილებლად ასე მოხდება. იმიტომ, რომ არავის არ სჭირდება აფხაზეთი აფხაზების ხელში. ეს, რა თქმა უნდა, არ იქნება აფხაზების ფიზიკური განდევნა და გარეკვა, მაგრამ მოხდება მიწის შესყიდვა კაპიკებში. ამის გამო უძლიერესი ზეწოლაა აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანოზე მიწის კანონის შეცვლის მოთხოვნით და ეტყობა, რუსეთი ამას საბოლოო ჯამში მაინც მიაღწევს.

ყველა რუსული დაპირება, რომელიც აფხაზეთის აღორძინებას გულისხმობს, ნაწილობრივ დაპირებად დარჩება და რაც უფრო გაძლიერდება ეკონომიკური კრიზისი, მით უფრო ცუდ დღეში ჩავარდებიან ისინი.

**— რას უნდა ველოდოთ წეულს სეპარატისტულ აფხაზეთში დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნებიდან, ვინ იბრძოლებს აფხაზეთის პრეზიდენტობისათვის: ბაღაფში, ხაჯიმბა, შამბა თუ მოსალოდნელია კიდევ ახალი კანდიდატურის გამოჩენა და რომელ მათგანს უფრო დიდი მფარველი ჰყავს მოსკოვში ?**

— ხაჯიმბას პოლიტიკურ მომავალს მაინცდამაინც ვერ ვხედავ, იმიტომ რომ ხაჯიმბამ ვერ შეასრულა ვერც ერთი თავისი დაპირება. მას ერთი საქმე ჰქონდა ჩაბარებული — ეს იყო ოჩამჩირის შელფზე ნავთობის საკითხის მოგვარება. ხაჯიმბას „ლუკოილის“ ხელმძღვანელობასთან ერთად ამ საქმის მოგვარების საშუალება ბაღაფშმა არ მისცა.

რაც შეეხება სერგეი შამბას, მისი პერსპექტივა ბევრად უფრო სერიოზულია. იმიტომ რომ სერგეი ბაღაფშს მოსკოვში არ პატიობენ და არც აპატიებენ იმას, რომ, ჯერ ერთი, თავის დროზე საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა, ასევე იმას, რომ ბოლო დროს მომხდარი მოვლენებისას დაიმალა და არ მოინდომა კოდორზე შეტევა, იმალებოდა გენერალ ანუას შტაბში და ლამის ალფა ჩამოიყვანეს მოსკოვიდან ბაღაფშის მოსაძებნად. ბაღაფშს ასევე არ აპატიებენ იმას, რომ მას დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების სურვილი აქვს. ბაღაფში ითვლება პროაფხაზურ პოლიტიკოსად და ის არავის სჭირდება. სხვათა შორის არც შამბა არ არის თავგადაკლული პრორუსული პოლიტიკოსი, მაგრამ მას აქვს ერთი ძალიან კარგი თვისება, დამახასიათებელი აღმოსავლელი ტიპის ხელმძღვანელისთვის — მას შეუძლია ყველასთან საერთო ენის გამონახვა და ყველას ნება-სურვილის გათვალისწინება, შესრულება ბოლომდე არა, მაგრამ გარკვეული ნაბიჯების გადადგმა.

გარდა ამისა, სერგეი შამბას აქვს ერთი ქარიზმა, რომელიც არა აქვს არც ერთ აფხაზ პოლიტკოსს. მას კარგად იცნობენ დასავლეთში, იგი იმდენი ხანია, ჩართულია ამ საკითხებში, რომ ურთიერთობები აქვს სხვადასხვა რანგის პოლიტიკოსებთან და ის მიღებული ადამიანია საერთაშორისო ორგანიზაციების კაბინეტებში. ამიტომაც იმისათვის, რომ დემონსტრირება მოახდინონ ევროპისათვის, რომ ახალი ტიპის ხელმძღვანელობა მოდის — შამბა ამისათვის იდეალური ვარიანტია.

თუმცა არ არის გამორიცხული, რომ რუსეთის პოლიტიკურ ელიტასთან დაახლოებული ახალი ფიგურები გამოჩნდნენ, მაგალითად, ისეთები, როგორებიც არიან ვალერი ლეიბა, იგორ არშბა და სხვა.

ძალიან სერიოზულ ბრძოლას ველოდები, მაგრამ დარწმუნებით გეტყვით, რომ ამასთან დაკავშირებით კრემლში გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

**— ე. წ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით რა გადაწყვეტილებაა მიღებული კრემლში?**

— იქ არის ძალიან რეალური კანდიდატურა, ეს არის ჯუსოითი, პიროვნება, რომელიც აშენებს გაზსადენს „ძუარიკაუ-ცხინვალს“. კოკოითი ყველაფერს აკეთებს, რათა ხელი შეუშალოს ამ გაზსადენის მშენებლობას, გაზსადენისა, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სამხრეთ ოსეთისათვის.

თავდაპირველად კოკოითი ჩრდილო ოსეთის პრეზიდენტ ტაიმურაზ მამსუროვთან ერთად ჩავარდა მილერთან, არიქა, ჯუსოითი ეკოლოგიას აზიანებს და მშენებლობა გაუჩერეთო. „გაზპრომმა“ თავისი დელეგაცია გამოაგზავნა და ვიდრე ეს დელეგაცია მუშაობდა, მშენებლობა შეჩერდა. მათ დასკვნა დადეს, არავითარი დაზიანება აქ არ არისო. მოკლედ, კოკოითმა ყველა კაბინეტი მოირბინა, კიდევ შეაჩერეთ ერთი წლით მშენებლობა და 2009 წელს განაახლეთო. მას ფეხებზე ჰკიდია სამხრეთ ოსეთში მაცხოვრებელი ხალხის ინტერესები, მისთვის მთავარია, საპრეზიდენტო არჩევნებში ჯუსოითმა არ გაიმარჯვოს. მერე მაინც განახლდა მშენებლობა, ახლა ისევ გააჩერებინა ფინანსური დარღვევების მოტივით. საქმე ის არის, რომ როდესაც კოკოითი ჭამს ამ ტრანშებს და ფულს იპარავს, მარტო არ არის.

იხ. 4 გვ.



◎ პარტიებსა და მოძრაობებში

# ახალი არჩევნები პოსტსააკაშვილის პერიოდში დაინიშნება

## ოპოზიცია ბრძოლას ადრიან გაზაფხულზე იწყებს

**ჯერ კიდევ გასული წლის 30 დეკემბერს ოპოზიციური ძალების გაერთიანებული ყრილობა უნდა შემდგარიყო, რასაც აქტიურად ემხრობოდნენ კონსერვატორები. ყრილობა არ გაიმართა, თუმცა ითქვა, რომ ამის ალტერნატივა იქნებოდა 25 იანვრის ერთდღიანი საპროტესტო აქცია. არც ამ იდეას უწერია განხორციელება.**

გუშინ პარტია „ერთიანი საქართველოსთვის“ აქტიურმა ლიდერმა ეკა ბესელიამ პრესკონფერენცია გამართა, სადაც კიდევ ერთხელ ისაუბრა ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ კრიზისზე, თუმცა ერთდღიანი აქციის ეფექტიანობაში ეჭვი შეიტანა. როგორც აღნიშნა, შეთანხმება მიღწეულია თითქმის ყველა პოლიტიკურ პარტიას შორის, რომ უწყვეტი, პერმანენტული საპროტესტო აქციები ადრიან გაზაფხულზე დაიწყოს. ეკა ბესელია დარწმუნებულია, რომ კონსერვატორების, რესპუბლიკელების, მემარჯვენეების, ხალხის პარტიის, საქართველოს გზისა და ოქრუაშვილის პარტიის ერთობლივ გადაწყვეტილებას ეროვნული ფორუმიც და ლეიბორისტებიც შეუერთდებიან.



**შესაძლოა, ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ ბრძოლისთვის დამატებით სხვა პოლიტიკური ხერხები აირჩიოს, რომელიც ერთობლიობაში ყველასთვის მისაღები იქნება,** — თქვა ეკა ბესელიამ, და საილუსტრაციოდ ეროვნული კრების იდეა მოიყვანა, რომელსაც საინტერესო უწოდა.

საქართველოს გადასარჩენად მებრძოლმა აქტიურმა სახემ ხელისუფლებასთან დიალოგი გამორიცხა, რადგან მისი თქმით, მსგავსი პოლიტიკური რევერანსები ფუჭი და არაფრისმომტანია.

პრესკონფერენციაზე „რეალური ოპოზიციური ძალების“ გადაწყვეტილება გახმიანდა — გაერთიანება ერთი მთავარი მოთხოვნისა და მიზნის ირგვლივ:

**1. მიხეილ სააკაშვილის უპირობო გადადგომა**

**2. ამის შემდეგ დემოკრატიული საარჩევნო კოდექსის საფუძველზე ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა და დემოკრატიულად ჩატარება. კონსტიტუციური ცვლილებების გატარება და დემოკრატიული ინსტიტუტის შექმნა.**

ეკა ბესელიამ შარშანდელი წელი გაიხსენა: **თქვენ გახსოვთ, სააკაშვილი ვიდრე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს გამოაცხადებდა, ჯიუტად იმეორებდა, რომ არჩევნებს არ დანიშნავდა, მაგრამ დანიშნა. თუმცა ჩვენ მისი დანიშნული არჩევნები უკვე არ გვინდა. გაზაფხულამდე თვენახევარი დარჩა. ეს დრო იმისთვის არის საჭირო, რომ ხალხმა მძიმე ზამთრის გადატანა შეძლოს და ასევე საჭიროა დრო ოპოზიციური სპექტრის, ეროვნული ძალებისა და საზოგადოების გადამწყვეტი ბრძოლისთვის მოსამზადებლად,** — დასძინა მან.

თეა მოსია

◉ კომპეტენტური აზრი

# მამუკა არეშიძე: აფხაზეთში ხვდებიან, რომ რუსი პოლიტიკოსებისთვის აფხაზური ეთნოსი და აფხაზეთი განსხვავებული ცნებებია

(მესამე გვერდიდან)

უამრავი რუსი ჩინოვნიკია ამ საქმეში ჩართული – ეს არის მისი დასაყრდენი კრემლის კაბინეტებში, მათი მეშვეობით ახერხებს ასეთი შედეგის მიღწევას. ჯუსოითის მთავარი მხარდამჭერი კი არის ედუარდ კოკოითის ყოფილი უშიშროების საბჭოს მდივანი ანატოლი ბარანკევიჩი.

**– სერგეი შამბას გაპრეზიდენტების შემთხვევაში რისი შეთავაზება შეუძლია საქართველოს აფხაზეთისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ადამიანი მზადაა საქართველოსთან სალაპარაკოდ, მზადაა, ვთქვათ, ირაკლი ალასანიასთან სალაპარაკოდ...**

– ის მზად არის სალაპარაკოდ, ეს საქართველო არ არის მზად, როგორც ყოველთვის, მზად არაფრისთვის და ეს არ არის მხოლოდ დღევანდელი ხელისუფლების სენი. ეს ის სენია, რომელიც წლების განმავლობაში გრძელდება. მე ვიცი, რომ მოსკოვის პოლიტელიტის ერთი ნაწილი ფიქრობს საქართველოს და ამ ორი რეგიონის ერთიანობაზე, მაგრამ ასეთი ფორმის შეთავაზებას ძალიან რთული და სერიოზული მუშაობა სჭირდება, დავსძენ იმასაც, რომ ეს ხელისუფლება ამის შემთავაზებელი არ არის. ეს ხელისუფლება მხოლოდ მაშინ იქნება რამის შემთავაზებელი, როდესაც რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები კულუარებში ამაზე მოილაპარაკებენ, იმიტომ კი არა, რომ მათ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლიათ, არამედ იმიტომ, რომ არ არის ამ ხელისუფლების ნდობა და ნებისმიერი მოლაპარაკება შეიძლება წყალში გადაყრილი დრო აღმოჩნდეს.

რაც შეეხება ალასანიას ფაქტორს. ალასანია იქ მიჩნეულია, როგორც სიტყვის კაცი. მეორე მხარეც არის და მე არ გამოვრიცხავ, რომ ალასანიას ფაქტორი იყო გამოყენებული იქაური პოლიტელიტის მიერ, როგორც შუღლის ჩამოგდების ფაქტორი. იმიტომ, რომ მასზე საუბარი დაიწყო არა მაშინ, როდესაც ალასანია ამ საქმით იყო დაკავებული, არამედ შემდეგში.

ზოგადად კი დღეს საქართველოს ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება რაიმის შეთავაზება მათთვის. არ შემიძლია არ გითხრათ, რომ ხშირ შემთხვევაში აფხაზები აქეთ გვთავაზობენ უკვე რაღაც-რაღაცეებს, მაგრამ ეს არ არის შეთავაზებები ოფიციალური სტრუქტურებიდან, ეს არის ადამიანების ცალკეული ჯგუფები.

მინდა გითხრათ: ოჩამჩირელი აფხაზები თვლიან, რომ ცხოვრობენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, გუდაუთაში და სოხუმში ასეთი სიტუაცია ნამდვილად არ არის, ოჩამჩირეში კი არის. იქ მშიერი რუსი ჯარისკაცისათვის, რომელიც მოსახლეობას აწიოკებდა, სულერთი იყო, ვინ იყო ქართველი და ვინ იყო აფხაზი. კიდევ კარგი, რომ საახალწლოდ ფული მიიღეს და რაღაცის შესყიდვის საშუალება მიეცათ.

აფხაზები ჩვენ გვაბრალებენ ყველა იმ უბედურებას, რაც მათ თავს დაატყდათ. ისინი ამბობენ, ჩვენ დამოუკიდებლობა გვინდოდა, მაგრამ არა ამ ფორმით, იმიტომ რომ ჩვენ ახლა თავს ვგრძნობთ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მაცხოვრებლებად და თქვენი ბრალია, რაც ჩვენთან ხდებაო.

ამ საერთო მდგომარეობის ფონზე, რაც თვითონაც შექმნეს აფხაზებმა, ეკონომიკური გაჭირვების ფონზე, ნაწილობრივი ოკუპაციის ფონზე ისინი თავის მომავალს მაინცდამაინც დადებითად ვერ ხედავენ.



**– თუ არსებობს დღეს ბუნებაში მექანიზმი, მეთოდი, რომლის გამოყენებითაც საქართველოს ძალუძს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დაბრუნება?**

– რასაკვირველია. დიპლომატიაც არის, ეკონომიკაც არის, ზეწოლაც არის, ეკონომიკური კრიზისის შედეგებზეც შეიძლება ვისაუბროთ, იმიტომ, რომ მიმაჩნია, რუსეთის ეკონომიკური კრიზისი ბევრად უფრო ღრმაა, ვიდრე გარედან ჩანს და ეს ეკონომიკური კრიზისი პირველ რიგში პერიფერიებს დაატყდებათ თავს. პერიფერიებში კი შედის ასევე კავკასიაც და საკმარისია, იქაურ პოლიტელიტებს, რომლებიც მიჩვეული არიან მდიდრულ ტრანშებს, ეს ტრანში მოაკლდეთ, რომ მდგომარეობა დაიძაბება. ასე, რომ მექანიზმი უამრავია.

**– როგორ შეაფასებდით საქართველოს ხელისუფლებასა და რუსეთს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას ენგურის ჰიდროელექტროსადგურთან დაკავშირებით?**

– როდესაც ჩვენ ოკუპაციის შესახებ ვიღებთ გადაწყვეტილებებს პარლამენტის დონეზე, ამ ფონზე ვგონებ, უხერხულია, ოკუპანტის წარმომადგენელ სტრუქტურასთან, იმ სტრუქტურასთან, რომელზეც დგას ეს საოკუპაციო ხელისუფლება, თანამშრომლობა. მე არაფერი საწინააღმდეგო არა მაქვს „რაოესთან" თანამშრომლობისა, ეკონომისტი არა ვარ და არ შემიძლია ამ საკითხში კატეგორიული ვიყო. „რაოესთან" თანამშრომლობა კი მაღალი ტემპით მიდის საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე.

„რაოესზე" და „გაზპრომზე" დგას მთელი რუსეთი და როდესაც ასეთი ტიპის ხელშეკრულებას მის წარმომადგენელთან დებ, ეს სულ მცირე თვალში ნაცრის შეყრაა და ვფიქრობ, ვიღაცას ხალხისთვის უნდა ეკითხა, თუ რას ფიქრობდნენ ისინი ამასთან დაკავშირებით.

ეს იმის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა, რომ აბსოლუტურად იგნორირებულია ქართული საზოგადოება და ქართველი ხალხი და არავის მისი აზრი არ აინტერესებს, მხოლოდ პოსტფაქტუმ აყენებენ საქმის კურსში.

ვიღაც იტყვის, 10 წელი რა ბედენაა, უცებ გაივლისო. ჯერ ერთი, ჩვენ არ ვიცით ეს ათწლიანია მართლა თუ არა, მეორე – ათი წლის შემდეგ რა მოხდება, არავინ იცის და მესამე, აფხაზებს ამით კიდევ ერთხელ ჩაარტყეს თავში. ეს ტერიტორია დამოუკიდებლად თვლის თავს, ჰესის ნაწილი ამ ტერიტორიაზეა. ყასიდად მაინც ეკითხათ აფხაზებისთვის, ისინი რას ფიქრობდნენ ამასთან დაკავშირებით,

ჩვენები ჩართავდნენ თუ არა, ეგ კიდევ საკითხავია, მაგრამ დაეყენებინათ ეს საკითხი მაინც. ასე რომ, აფხაზებს აქაც რომ დასცინეს და მასხრად აიგდეს, უნდა მიხვდნენ.

რაც შეეხება ქართულ მხარეს. ქართული მხარის საქციელი ჩემთვის ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. რომ ზუსტად ვიცი, როდესაც პეტერბურგში ჯერ კიდევ პუტინის პრეზიდენტობისას ერთმანეთს ჩვენი პრეზიდენტი და პუტინი შეხვდნენ, მაშინ იყო ამაზე ლაპარაკი. კერძოდ, ენგურჰესის შესყიდვაზე. როდესაც კითხვა დაისვა რა გინდათ ჩვენგანო? ნატოს გარდა, რუსეთის მოთხოვნათა ერთ-ერთი პუნქტი, ვგონებ მეოთხე, ენგურჰესის შესყიდვის სურვილი იყო. მაშინ, სხვათა შორის, საქართველოს უმაღლეს ხელისუფალს მაინცდამაინც დიდი უარი არ უთქვამს. ამის შემდეგ საფრანგეთში გახმოვანდა ცნობილი თემა ატომური ენერგოსადგურების მშენებლობის შესახებ. ხოლო როცა იცი, რომ რუსეთს ასე უნდა ეს, რაღაცით უნდა ევაჭრო, მარტო ფულზე ხომ არ არის აქ ლაპარაკი.

**ესაუბრა**
**ეკა მომცელიძე**

◉ სახალხო დამცველი

# ჟურნალისტები უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტების გამოძიებას ელიან

**2008 წლის 21 მაისს საქართველოს პარლამენტის არჩევნების მედია-დამკვირვებელს ირაკლი გოგუაძეს, სოფელ იორმუღანლოში საარჩევნო პროცესის გადაღების დროს ოცდაათი წუთის განმავლობაში ორჯერ მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და წაართვეს როგორც საარჩევნო პროცესის ამსახველი ვიდეომასალა, ასევე „სონის" ფირმის ვიდეოკამერა;**

2008 წლის 13 აგვისტოს რუსთაველის გამზირზე შიდა ქართლიდან დევნილი მოსახლეობის საპროტესტო აქციის გადაღებისას, ოპერატორად მომუშავე ირაკლი გოგუაძეს უცნობმა პირმა ვიდეოკამერიდან აკუმულატორი ჩამოგლიჯა და გაიქცა;

2008 წლის 24 აგვისტოს სოფელ ტყვიავში თავს დაესხნენ ჟურნალისტთა ჯგუფს, მათ შორის ჟურნალისტ მაკა წიკლაურს და ირაკლი გოგუაძეს. ამ უკანასკნელს, კამერის აქსესუარებთან და სხვა ვიდეომასალებთან ერთად, წაართვეს „პანასონიკის" ფირმის საკუთარი ვიდეოკამერა;

2008 წლის 21 ოქტომბერს უზენაესი სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე უცნობი პირები თავს დაესხნენ ჟურნალისტ მაკა წიკლაურს და ხელი მოტეხეს;

2008 წლის 22 დეკემბერს, დაახლოებით 22 საათსა და 30 წუთზე მეზობლის სახლიდან გამოსული და შინისკენ მიმავალ ირაკლი გოგუაძეს საცხოვრებელ სახლთან (ამაღლების ქუჩაზე) უცნობმა პირებმა საბუთების წარდგენა მოსთხოვეს და მანქანაში ძალით ჩასმა დაუპირეს.

ამ ადამიანთა აზრით, მათ მიმართ განხორციელებული ყველა ქმედება უშუალოდ მათ პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება.

2008 წლის 23 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს სწორედ მაკა წიკლაურმა და ირაკლი გოგუაძემ.

* * *

სახალხო დამცველის აზრით, ირაკლი გოგუაძისა და მაკა წიკლაურის განცხადებაში იკვეთება სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე (სიტყვის თავისუფლების ხელყოფა) და 154-ე (ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.

„სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველმა სათანადო რეაგირებისათვის მასალები გაუგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს და სთხოვა, მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ კანონით დადგენილ ვადაში აცნობონ.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია.

ამას ადასტურებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის I პუნქტი, რომლის თანახმად, **„ყველას აქვს უფლება სიტყვის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს ასევე პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე, და მიუხედავად სახელმწიფო საზღვრებისა".**

სიტყვისა და აზრის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი საფუძველი და დემოკრატიული საზოგადოების პროგრესისა და ცალკეული ადამიანის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, ეს უფლება შეეხება არა მხოლოდ ისეთ „ინფორმაციას" ან „იდეას", რომელსაც სახელმწიფო კეთილგანწყობით იღებს, არამედ ისეთსაც, რომელიც მიუღებელია ხელისუფლების ან მოსახლეობის ნაწილისათვის. ამას მოითხოვს პლურალიზმის, ლიბერალიზმისა და ტოლერანტობის პრინციპები, რომელთა გარეშე არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება.

ინფორმაციის წარმოების, გადაცემის, გავრცელების საშუალებები მე-10 მუხლით დაცულია. იგი მოიცავს გამოხატვის თავისუფლების 3 ელემენტს: ა) საკუთარი აზრის ქონის თავისუფლებას; ბ) ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებას; **გ) ინფორმაციის მიღების თავისუფლებას.**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან აღსანიშნავია რამდენიმე საქმე, რომელიც გამოხატვის თავისუფლებას ეხება: **„სანდი ტაიმსი" გაერთიანებული სამეფოს** წინააღმდეგ; **ბარტოლდი გერმანიის** წინააღმდეგ; **ლინგენსი ავსტრიის** წინააღმდეგ; **ჯერსილდი დანიის** წინააღმდეგ; **„ობზევერი" და „გარდიანი" გაერთიანებული სამეფოს** წინააღმდეგ. ამ საქმეებში ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევები.

**ნათა ნიბლაძე**

### ნიუ-იორკული ჩანახატი

# მარტივი ხერხი იმისა, თუ როგორ დავხედოთ ზემოდან ადგილს, სადაც დრო ჩერდება

***რახან ნიუ-იორკს ამერიკელები და არაამერიკელებიც მსოფლიოს დედაქალაქს უწოდებენ, ხოლო მანჰეტენის „თაიმს სქვერი" (სიტყვასიტყვით – „დროის მოედანი") ნიუ-იორკის მფეთქავი გულია, გამოდის, რომ სკვერში თუ სკვერზე, შესაბამისად, გულში თუ გულზე ერთსაათიანი გასეირნება ცივილიზებული თუ არც ისე პროგრესული სამყაროს კარდიალურ წინაგულებსა და პარკუჭებში ხეტიალის ტოლფასია. თუმცა ეს ანატომიური წარმონაქმნი, რომელიც სიყვარულის ორგანოდაა ცნობილი, ათობით კორპორაციას, ბანკს, ცნობილ სამარკო თუ უბრალო მაღაზიას, საგამომცემლო სახლს, ფეშენებელურ სასტუმროსა და რესტორანს იტევს. ამიტომ ეჭვი მაქვს, რომ იგი გული კი არა, ტვინის ხვეულების გარკვეული ერთობლიობაა. მაგრამ რახან თაიმს სქვერს ავტორიტეტები გულს უწოდებენ, რაღა გაეწყობა ... იყოს გული.***


თაიმს სქვერი ღამით

აქ ბიზნესს თეთრსაყელოიანები აკეთებენ. ვინ – რამდენს, სართულების მიხედვით ვერ მიხვდები. თუმცა ერთი რამ ცხადია: მანჰეტენზე დოლარი კეთდება. უფრო სწორედ – დოლარები. მაგრამ თაიმის სქვერზე უფრო მეტი და დიდი კეთდება, ვიდრე – დოლარი. ბროდვეისა და მეშვიდე ავენიუს გადაკვეთაზე, იქ, სადაც დროის გზაჯვარედინია, მეხუთე, ოცდამეცხრე თუ ორმოცდამეთერთმეტე სართულებზე რაღაც იკვეთება და გადაიკვეთება. ეს რაღაც ნიუ-იორკის სულია. არც ისეთი სუფთა, როგორიც სან-ფრანცისკოსა და ვაშინგტონის ქუჩები და არც ისე ჭუჭყიანი, როგორიც ნიუ-იორკის თაგვებიანი მეტროს ერთ-ერთ გაჩერებაზე მძინარე ბომჟის გამოშიგნული პალტოს საყელო. თაიმ სქვერი ბროდვეის თეატრებისაა და თავადაა ბროდვეის წარმოდგენა, შოუ, რომელიც არ სრულდება და რომელიც უნდა გაგრძელდეს, როგორც ამას ერთი ცნობილი გამონათქვამი გვახსენებს.

თაიმს სქვერი შებინდებისას უნდა ნახოთ. 105 წლის მოედანი, რომელსაც სახელი გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსის" საპატივცემლოდ დაერქვა, ოდესღაც კრიმინალებისა და იაფფასიანი მეძავების საყვარელი ადგილი გახლდათ. დღეს იგი პრესტიჟულობისა და გლამურულ-არაგლამურული ცხოვრების ნეონური ტერიტორიაა. უზარმაზარმა ელექტრონულმა ტაბლოებმა, NASDAQ-ისა (საბაზრო ინდექსების მაჩვენებელი) და Reuters - ის ცათამბჯენებზე აკრულმა ფერადმა და წამდაუწუმ ცვალებადმა რეკლამებმა თვალაჭრელებულს შეიძლება ერთი წუთით კი არა მეტითაც, დროის განცდა დაგაკარგვინოთ, მაგრამ ხალხის უწყვეტი ნაკადი აუცილებლად გაგიტაცებთ სადმე, არა აქვს მნიშვნელობა სად: იქნება ეს „ენ თეილორის" ძვირადღირებული ტანსაცმლის მაღაზია თუ სათამაშოების უზარმაზარი იმპერია – ატრაქციონი „თოის ვი არ". თანაც ზამთარში ოკეანის სანაპიროდან წამოსულმა ცივმა ქარმა ფიქრები შეიძლება აგიშალოთ, მაგრამ ისინი სხვაგან ვერსად გაგაქროლებენ, საკუთარი სამშობლოს გარდა. ცათამბჯენების რკალის გარღვევა არც ისე ადვილია, მაგრამ სახლის მონატრება ამ წრეს აუცილებლად გადაუფრენს. აქ ყველაფერი შიგნით, თაიმს სქვერზე, ანუ გულში ტრიალებს და დუღს. ამბობენ, აქ დრო ჩერდებაო... თაიმს სქვერი ნიუ-იორკის შინაგანია.

ხშირად ნიუ-იორკის სხვა რაიონებთან შედარებით მანჰეტენი და მეტადრე თაიმს სქვერი გიჟების თავშეყრის ადგილს ჰგავს, რომლებიც მთლად ქეციანები პიკის საათებსა და წინასაშობაო-საახალწლო პერიოდში ხდებიან. დავაკვირდი, როგორც კი თაიმს სქვერზე ვხვდები, მაშინვე რატომღაც ნაბიჯს ვაჩქარებ. არ მეჩქარება, მაგრამ, მაინც. ალბათ, იმიტომ, რომ გინდა თუ არა, თაიმს სქვერს ნაბიჯი უნდა აუწყო. ყველა სადღაც გარბის და ეჩქარება. აქ თავად დედამიწას უჩქარდება პულსი და უფრო მალე ბრუნავს. ტყუილად კი არაა გული...


თაიმს სქვერი დღისით

სურათის გადაღების მსურველთა რაოდენობის მიხედვით თაიმს სქვერი კონკურსგარეშეა, რადგან იგი ტურისტების მექად ითვლება. 2008 წლის მიწურულს წვიმამ, თოვლმა, ყინვამ და ეკონომიკურმა კრიზისმა ერთნაირად შემოუტია „დიდ ვაშლს" (ასე უწოდებენ ნიუ-იორკს), მაგრამ არა თაიმს სქვერს. აქ 2009 წლისთვის ჩვეული გულმოდგინებითა და სრულიად არაეკონომიურად ემზადებოდნენ. სვაროვსკის შუშებით გაბრჭყვიალებული ბურთი მაინც დაეშვა ძირს (ეს ტრადიცია 102 წლისაა) და საშინელი ყინვის მიუხედავად, მილიონობით ადამიანი მსოფლიოს გულის დაბერების შესაგებებლად მაინც აჟრიამულდა. როგორც წესი, ახალ წელს ერთმანეთთან მიტყუპებულ-შეზრდილი და ზევით (ბურთისკენ) მაყურებელი ამდენი სხვადასხვა ეროვნების, ენა-დიალექტის, კანის ფერის, რელიგიურ-კონფესიული მიკუთვნებულობისა და სექსუალური ორიენტაციის ადამიანი არსად იკრიბება და ასე ცოცხლად ანუ Live არ ულოცავს ერთმანეთს. ისევე როგორც წინა და იმის წინა წლებში ბურთის დაშვებისას ყველამ ერთად იხუვლა... დანარჩენი სამყარო კი ნიუ-იორკული სატელევიზიო ახალი წლით დაკმაყოფილდა. ცნობილი ტელეარხი ABC აქვეა, ელექტრონული ტაბლოების სიმრავლე კი სატელევიზიო ეკრანების იმიტაციას ქმნის. საკუთარ სახლში ტელევიზორს ადვილად წვდები, თაიმს სქვერის ელექტრონულ-ციფრული, თითქმის საფეხბურთო ტაბლოები კი ლამის სართულებიდან სართულებზეა გადაჭიმული და კინგ-კონგივით ზევიდან დაგყურებს. შთანგთქავს, ფეხს თუ არ აუჩქარებ. ოღონდ თაიმს სქვერულად.

ყველაფერთან ერთად თაიმს სქვერი, ალბათ, ყველაზე მწეველი და ამავე დროს ყველაზე არამწეველი ადგილია. ქუჩაში მოწევა, რასაკვირველია, ნებადართულია, მაგრამ მწეველებისთვის „დროის სკვერი" მყუდრო ადგილი არაა. შენობაში და მეტადრე სამუშაო ადგილას მოწევას კი ლამის შტატის კანონი კრძალავს. არაოფიციალურად, მაგრამ აქ ყველგან გაგრძნობინებენ, რომ მწეველი ვერ მოხვდება სასურველ სტუმართა სიაში. ამიტომაც უზარმაზარ ბილბორდებზე ფილმების, ჰოლივუდის ვარსკვლავების, „ჯენერალ მოტორსის" პროდუქციის, მედიის, მსხვილი კომპანიების, სასწაულმოქმედი დიეტებისა და ანტინიკოტინური პროგრამების პიარკამპანიების სახელწოდებების გვერდით თამბაქოს რეკლამას, რასაკვირველია, ვერსად იპოვით. ამერიკამ ომი გამოაცხადა. იგი გამწარებული და ხმალამოღებული, უფრო სწორედ სკალპელ თუ სხვა მოწინავეტექნოლოგიამომარჯვებული (ლიპოსაქციის ბუმი), ათასობით კი არა მილიონობით დიეტით, მედიკამენტითა და ვარჯიშით ეროვნულ დაავადებას – ჭარბ წონას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძვის. ქვეყნის ნაციონალური გმირები ხდებიან ქალები და მამაკაცები, რომლებმაც 20, 40, 60, 100 და მეტი კილოგრამი დაიკლეს. არც ერთი დილის, შუადღის, საღამოსა თუ ღამის რეიტინგული თუ არარეიტინგული გადაცემა, შოუ არ ჩაივლის ახალი ეროვნული გმირის წარდგინება-შექების გარეშე. აგერ CNN ისრაელისა და ჰამასის, ობამას საპრეზიდენტო პროგრამისა და სხვა გლობალურ საკითხთა შორის მაყურებელს გასახდომ ვარჯიშებს სთავაზობს. სასპორტო ინსტრუქტორი CNN -ის ახალი ამბების წამყვან ქალს (მამაკაცს, რასაკვირევლია, ეს არ ეხება) საწონის მაგივრად უთოს აძლევს ხელში და ისიც პირდაპირ ეთერში, სატელევიზიო სტუდიაში ბედნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენლის – წვრილი წელისთვის ირჯება. ჰოლივუდის მდედრობითი სქესის წარმომადგენლები საკუთარი სუნამოს, ჩანთებისა და რესტორნების „დაბრენდების" შემდეგ თავს მოვალედ თვლიან საკუთარი სახელობის დიეტით მსოფლიო დიეტების უთვალავი კოლექცია გაამდიდრონ. ამერიკა სუნთქვაშეკრული ელოდება ცნობილი მულტიმილიონერისა და ქველმოქმედის, ობამას წინასაარჩევნო კამპანიის მსხვილი დამფინანსებლის, გადაცემა „ოფრას" წამყვანისა და ამავე სახელწოდების სქელტანიანი ჟურნალის გამომცემლის ოფრა უინფრის აღსარებას იმის შესახებ, თუ როგორ გახდა იგი 100 კილოგრამი. წამყვან ტელეარხებზე ამ აღსარების ანონსმა მიწურული წლის მთელი დეკემბერი დაიკავა. თუ გინდა ქვეყნის ბომონდისა და არაბომონდის სასაუბრო თემას არ ჩამორჩე, ძილშიც კი უნდა იზუთხავდე X-ის წელის გარშემოწერილობასა და Y-ის,უკაცრავად, დუნდულების ზომას.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ისინი, ვინც ბავშვობიდან ტელეეკრანზე გამოჩენის შესახებ ოცნებობდნენ, სპეციალურად ჯერ არანორმალურად სუქდებიან, სურათებს და ვიდეოს იღებენ, ჭარბი წონის ცოდვაში ჩავარდნის შესახებ აღსარებას ამბობენ, მერე კი ხდებიან, ოღონდ წვალება-წამება-ტანჯვით, ცრემლებით, ანტიდეპრესანტებით; მერე სატელევიზიო ეთერში თავიანთი გმირობის დამამტკიცებელ საბუთად მსუქნადყოფნისდროინდელი ტანსაცმელი მოაქვთ და აცრემლებულნი წონასთან ჭიდილის პროცესს ისე ჰყვებიან,თითქოს ბინ ლადენი დაიჭირეს და, შესაბამისად, მარტო ამერიკა კი არა, სამყაროც იხსნეს. აუდიტორიაც კურცხალს ვერ მალავს და ფეხზე დამდგარი ტაშითა და შეძახილებით აგულიანებს ქება-დიდების ღირსს. ჭარბი წონის ქალის ბედმა ჰოლივუდის ეკრანებზეც გადაინაცვლა... ამერიკაში „ფიტნეს კლუბების" კედლები, როგორ წესი, ოთხივე მხრიდან იატაკიდან ვიდრე ჭერამდე შემინულია და ქუჩაში მოსიარულე ჰამბურგერ-ჰოთდოგების, ჩიფსებისა და კოკა-კოლას მშთანთქმელ ერს შეუძლია სატელევიზიო ეკრანის დარად იხილოს ოფლში გახვითქული თანამემამულეების ვერაგ კალორიებთან დაუღალავი ბრძოლა, როგორც ანტიჰამბურგერულ-ანტიჰოდდოგური, უსიტყვო საყვედური. ესეც ამერიკული „ტრანპარანტულობის" მაგალითია. დასამალი არაფერია, კილოგრამის არც ერთი გრამი...

**ია მერკვილაძე,**
**„სრ" საკ. კორ. აშშ-ში.**

(დასასრული იქნება)

### ინფორმაცია

**ეკოციდის მტკიცებულება ევროკომისიაში**

**ბორჯომის ხეობის ეკოციდის შესახებ ქართული მხარის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებს ევროკომისია შეისწავლის.**

**საქართველოს გარემოს სამინისტრო ევროკომისიის რუსული სამხედრო ინტერვენციის შედეგად განადგურებული ტყის მასივების შესახებ მასალებს ფოტოსურათებთან ერთად უახლოეს დღეებში გადაუგზავნის, ამის შესახებ გადაწყვეტილება გარემოს დაცვის მინისტრმა გოგა ხაჩიძემ ევროკომისიის წარმომადგენელთან შეხვედრის შემდეგ მიიღო.**

**გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებულ სარეაბილიტაციო ღონისძიებების ნუსხასა და ეკოციდის მტკიცებულებებს ევროკომისიის ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოში, ელჩი პიერ ეკლუნდი უახლოეს სხდომაზე წარუდგენს.**

**გამარტივებული სავიზო რეჟიმით საქართველოში**

**„უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის" შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შედეგად ავსტრალიის, მონაკოს, მექსიკის, ბრაზილიის, არგენტინის მოქალაქეები საქართველოში გამარტივებული სავიზო რეჟიმით ისარგებლებენ.**

**კანონპროექტის თანახმად საქართველოში ვიზის მოქმედების ვადა გამარტივებული ქვეყნებისთვის 90-დან 360 დღემდე იზრდება. უვიზო მიმოსვლა საქართველოს დღემდე ევროკავშირის ქვეყნებთან, აშშ-სთან, კანადასთან, იაპონიასა და ისრაელთან ქონდა.**

ჯი-ეიჩ-ენი

ჩვენი ყოფა

# ერთი შვილის სიცოცხლე ვერაფრით იხსნა, ახლა სხვა შვილების გადასარჩენად იბრძვის

## მათხოვრობს... თუმცა კარგი ცხოვრებაც ნახა

**ძველით ახალ წელს ქაშუეთში სანთლის დასანთებად მივდივარ, რათა უფალს მშვიდობა და ბედნიერება შევთხოვო. მიწისქვეშა გადასასვლელში, ეკლესიის მხარეს, კიბეზე ქალი ზის ხოლმე, რომელსაც თან ორი ბავშვი ახლავს. 12-13 წლის ბიჭი და 4-5 წლის გოგონა. ხურდას წინასწარ ვამზადებ, რადგან ვიცი, რომ ეს ოჯახი უსათუოდ იქ დამხვდება.**

ისინი ლამისაა ნაცნობები გახდნენ ჩემთვის. ხშირად ერთი ავტობუსით ვმგზავრობთ. თუ ისინი კიბეზე ჩამოსხდარნი არ გინახავს, არაფერზე ეტყობათ, რომ მათხოვრები არიან. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს ეს სიტყვა, დღევანდელი მათი სტატუსი ესაა.

ამ ქალზე ხშირად ვფიქრობ. ტიპური ქართველი დედის განსახიერებაა: ესიყვარულება შვილებს, ეფერება, ქცევის წესებს ასწავლის და თუ რამე არ მოეწონება, ტუქსავს ხოლმე. ბავშვებს ყოველთვის კოხტად და სუფთად აცვიათ. ქალი კი თეთრი დუტის ქურთუკს ატარებს, რომელიც არასოდეს არის ჭუჭყიანი.

ახლაც კიბეზე სხედან. გოგონა მუხლებზე უზის და ხაჭაპურს თავისი ხელით აჭმევს.

ახალი წელია. ხაჭაპური ამ განწყობას შეეფერება, მათი მდგომარეობა – არა. ხურდას ჭურჭელში ვაგდებ და ქალიც იმდენ მადლობას მიხდის და მლოცავს, რომ ვჩერდები.

ახალი წელი მივულოცე, გაუხარდა. გავბედე და შევაპარე აზრი, რომელიც დიდი ხანია მაწუხებს:

**– თქვენი გოგონა იქნებ საბავშვო ბაღში მიგეყვანათ?**

– ქალბატონო, ბავშვს წაყვანა-მოყვანა უნდა, დრო უნდა. დილით ადრე, ექვს საათზე ვდგები, ერთ ოფისს ვალაგებ, საღამოს მეორე ოფისს ვალაგებ. აქ ერთად მოვდივართ. ისე მიჭირს, რომ მეტი არ შეიძლება, – ცრემლებით ევსება თვალები და ვეღარ აგრძელებს ლაპარაკს, – ...ჩემი ბიჭი მომიკვდა, თორემ...

**– ესენი თქვენი შვილიშვილები არიან?**

– არა შვილები არიან. უფროსი ბიჭი ავად იყო, რა არ გავაკეთე, ყველაფერი გავყიდე, რაც გამაჩნდა, უცხოეთშიც წავიყვანე, მაგრამ ვერ ვუშველე, ვერ გადავარჩინე ჩემი ბიჭი, მოუკვდა დედა...

იცით, რა ცხოვრება მქონდა? ზოგიერთ მათხოვარს მთელი ცხოვრება გაჭირვებაში უცხოვრია, მე კი...

**– ქალბატონო, ეკლესიაში რომ მოვდივარ მესმის თქვენი ლაპარაკი, მგონი, სამეგრელოდან ხართ, არა?**

– კი, მაგრამ წლებია თბილისში ვარ გათხოვილი. ჩემი ქმარი შვილის სიკვდილის შემდეგ ჩამოდნა და დაუძლურდა, თორემ ხელოვანი იყო, არაჩვეულებრივად ხატავდა. მთაწმინდაზე ვცხოვრობდით. ისეთი კარგი მამამთილი მყავდა, ბაზარში რომ გამიშვებდა, 100 მანეთს მატანდა. ბიჭი რომ ავად გამიხდა, ბინა გავყიდეთ, საბურთალოზე გადავედით, მერე ის ბინაც ჯერ დავაგირავე, მერე გავყიდე. ყველაფერს ვიშოვი, ოღონდ შვილი მყავდეს ცოცხალი-მთელი. ვერ ვუშველე, მაინც ვერ ვუშველე.

**– ახლა სად ცხოვრობთ?**

– ქირით ვცხოვრობ. თქვენ არ იცით, რას ნიშნავს, საკუთარი ჭერი რომ არ გაქვს. ოფისების დალაგების ხელფასს – 200 ლარს ქირაში ვიხდი. რასაც მათხოვრობით ვშოულობ, დღიური ლუკმაა. რაც გვაცვია, ყველაფერი ხალხის ნაჩუქარია...

**– და მაინც, მგონია, რომ სხვა გზაც არსებობს... იქნებ მიიყვანოთ ბავშვი საბავშვო ბაღში, ხომ იცით, ახლა ის უფასოა, სამჯერადი კვება აქვთ...**



– რა ვიცი, აბა, არადა ძალიან ნიჭიერი ბავშვია, ჭკვიანი, გონიერი. ბიჭი რომ იცოდეთ, როგორ ხატავს, შემოევლოს დედა.

**– ცოდოები არიან, ამ სიცივეში, კიბეზე, როგორ შეიძლება?..**

– უფალი აძლევს ჯანმრთელობას. როცა ოთახში მყავდა, სითბო-

2008: „დიადი გარდატეხის წელი“ გლობალურ ეკონომიკაში

# ...„არამედ რაღაც სხვა“...

## რა ერქმევა იმას, რაც ნამდვილად არ იქნება არც სოციალიზმი და არც „ძველებური“ კაპიტალიზმი?

> **„მთელი მსოფლიო გლობალურ ეკონომიკურ კრიზისში შედის, რომელიც შეიძლება სისტემურ კრიზისად იქცეს, ანუ არსებული სისტემა სხვამ, პრინციპულად ახალმა სისტემამ შეცვალოს“.**
>
> **სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II**

**1929 წელი ისტორიულ ანალებს მრავალთაგან ორი მნიშვნელოვანი მოვლენითაც შემორჩა: ეს იყო საბჭოთა კავშირში კულაკობის, როგორც კლასის განადგურება და ამერიკის შეერთებულ შტატებში „დიდი დეპრესიის“ დაწყება. იმ წელს, კულაკების წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებებით კმაყოფილმა მსოფლიოს „გაწითლებული“ ერთი მეექვსედის მაშინდელმა ხელმძღვანელმა, „დიადი გარდატეხის წელი“ უწოდა. 2008 წელიც შეიძლება „დიადი გარდატეხის წლად“ შევიდეს ისტორიაში, მაგრამ ამჯერად უკვე როგორც გლობალური საფინანსო-ეკონომიკური, ფაქტობრივად კი სისტემური კრიზისისა და ბაზრის თვითრეგულირების უნარში ბაზრის ძირითადი მოთამაშეებისა და სოციალურ ძალთა რწმენის დაკარგვისა და განხიბვლის გამო...**

ბაზრის თვითრეგულირების თითქმის ორსაუკუნენახევრის წინათ ადამ სმიტის მიერ აღმოჩენილ „უხილავ ხელს“ 2008 წლისთვის „ხილული“ დასუსტება და დაძაბუნება დაეტყო. ეკონომიკური კრიზისის, უკუსვლის, საბაზრო სტიქიის თვითრეგულირების კლებადი შესაძლებლობების ნიშნები აშშ და საბაზრო ეკონომიკის სხვა „სანიმუშო ქვეყნებში“ ჯერ კიდევ 2007 წლის ბოლოს გამოიკვეთა, მაგრამ მთელი სიგრძე-სიგანით 2008 წელს იჩინა თავი. მდგომარეობა იმაზე სწრაფად და რადიკალურად იცვლებოდა უარესობისაკენ, ვიდრე პოლიტიკოსები და ექსპერტები ვარაუდობდნენ, ანუ, საბირჟო ტერმინოლოგიით თუ ვისარგებლებთ, 2007 წლის ბოლოს მსოფლიო ეკონომიკის მომავალ წელზე გაკეთებული ყველაზე პესიმისტური „ფიუჩერსული პროგნოზები“ ერთი წლის შემდეგდროინდელი გადასახედიდან საარაკოდ ოპტიმისტური აღმოჩნდა. გრძელდება კრიზისი, რის გამოც მსოფლიო ეკონომიკის საერთო ზრდა 2008 წელს ჩვეულებრივთან შედარებით, 2.0-2.5-ჯერ, ხოლო 2009 წელს - 4-5-ჯერ დაბალი იქნება.

კაპიტალიზმი, თავისი ბუნებრივი ხუთსაუკუნოვანი განვითარების შემდეგ ერთბაშად და ერთდროულად აღმოჩნდა მნიშვნელოვანი გამოწვევებისა და რისკების წინაშე საკუთარი გამოვლენის თითქმის ყველა აზიმუტის მიხედვით - კრიზისი შეეხო საბაზრო ეკონომიკის ყველა ასპექტს – წარმოებას, განაწილებას, ვაჭრობას, იპოთეკას, საბანკო სექტორს, საფინანსო ბაზრებს... ამან გამოიწვია მთლიანი მოთხოვნის გლობალური შემცირება, ენერგორესურსებიდან დაწყებული და კვების პროდუქტებით დამთავრებული. შესაბამისად, შემცირდა გლობალური დასაქმება, გაიზარდა უმუშევრობა, გაჩერდა მრავალი, მათ შორის არაერთი მსოფლიო ბრენდის მატარებელი საწარმო... დაწყებული გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის შედეგად მსოფლიო აქტივების კაპიტალიზაციის მაჩვენებელი 2008 წელს რამდენიმე ტრილიონი დოლარით შემცირდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში 2008 წელს სანედლეულო და საფინანსო სექტორების ფასიანი ქაღალდების ღირებულება განახევრდა, ტექნოლოგიური ბაზრისა – შემცირდა თითქმის 1.7-ჯერ; დოუ-ჯონსის მაჩვენებელი დაეცა 38.7 პროცენტით. რუსეთის ბანკთაშორის ბირჟაზე ყველაზე კოტირებული აქციების ღირებულება შემცირდა 10-ჯერ. რუსეთში იმათი ქონების ღირებულებამ, ვისაც მედია და საზოგადოების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ წლის შუა ხანებში გარკვეული პიეტეტით „ოლიგარქებად“ მოიხსენიებდა, 2008 წლის მეორე ნახევარში თითქმის 300 მილიარდი დოლარით იკლო. როგორც ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ჰიპოთეზის მიხედვით დინოზავრების გადაშენება დედამიწის ასტეროიდთან შეჯახებით გამოწვეულმა გლობალურმა გამყინვარებამ გამოიწვია, ისე დღეისათვის, ხატოვნად რომ ვთქვათ, **რუსეთში „ფინანსური დინოზავრების“ – ოლიგარქების „გადაშენება“ პლანეტა „ეკონომიკის“ ასტეროიდ „გლობალურ კრიზისთან“ შეჯახებამ გამოიწვია. ამ ასპექტითაც (ოლიგარქების „გაქრობის“ გამო) 2008 წელი ასევე შეიძლება „გარდატეხის წლად“ მოინათლოს.**




დღეისათვის კრიზისმა მთელს მსოფლიოში უკვე იმდენად საშიში მასშტაბები მიიღო, რომ მთელი ყურადღების კონცენტრირება საჭიროა უკვე არა იმის დადგენაზე, თუ სად, როდის, რატომ დაიწყო იგი, ვინაა ამაში დამნაშავე, არამედ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის გზებზე, მათ შორის ახალ ინსტიტუციურ არქიტექტონიკაზე, საქმიან ურთიერთობებზე, სადაც თვისობრივად ახალი როლი ექნება სახელმწიფოს და მის ეკონომიკურ, პირველ რიგში, საბიუჯეტო რესურსების ფორმირების და ხარჯვის, განკარგვის პოლიტიკას.

კრიზისში მყოფი ბიზნესისათვის დახმარება, რა ფორმითაც უნდა ხდებოდეს, ფისკალური ლიბერალიზაცია იქნება თუ საკრედიტო ვალდებულებათა გადავადება, საბოლოო ჯამში მათთვის ფინანსური დახმარების „მაშველი რგოლის“ მიწოდებას გულისხმობს. ათეული წლების განმავლობაში დანარჩენი მსოფლიოს ძირითადი საკრედიტო „დონორი“, ამჟამად კი „გაბერილი“ საფინანსო ბაზრის „წყალობით“ აღნიშნული კრიზისის ძირითადი „შემოქმედი“ ამერიკის შეერთებული შტატები, თავად განიცდის ამ ყველაზე ლიკვიდური რესურსის დეფიციტს და „დანარჩენ მსოფლიოს“ სათანადო დახმარების ხელს ვერ უწვდის. უფრო მეტიც, თავად ცდილობს სამამულო ეკონომიკის გადასარჩენად, რამდენადაც შესაძლებელია, მოახდინოს ადრე მთელ მსოფლიოში მის მიერ განხორციელებული ინვესტიციების რეკონვერტაცია-რეპატრიაცია.

კრიზისში მყოფ მსოფლიო ეკონომიკას, როგორც სპეციალისტები მიიჩნევენ, ჯერ თავისი „მარიანის ღრმულისთვის“ არ მიუღწევია, მაგრამ უკვე გამოიკვეთა როგორც მისი ძირითადი ნიშნები, ისე მის წინააღმდეგ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ტრანსნაციონალური ბრძოლის ძირითადი მიმართულებები.

**ჯერ ერთი,** ძირითადში გაცნობიერებულია (თუმცა, ჯერჯერობით, უფრო დეკლარაციის, ვიდრე აქტიური პოლიტიკის დონეზე) ის, რომ **ესაა გლობალური კრიზისი, რომლის დასაძლევად გაცილებით ეფექტური იქნებოდა სახელმწიფოთა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების კოორდინირებული მოქმედება** (განცხადებები „დიდი ოცეულის“ უკვე შემდგარ შეხვედრაზე 2008 წლის ნოემბერში ვაშინგტონში, ანალოგიური დაგეგმილი შეხვედრა ლონდონში 2009 წლის აპრილში და სხვ.).

**მეორეც,** ესაა **სახელმწიფო ბიუჯეტების მნიშვნელოვანი სახსრების, აგრეთვე საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტების სოლიდური მოცულობის კრედიტების წარმართვა ცალკეული ქვეყნების, ეკონომიკის ცალკეული სეგმენტების დასახმარებლად**. მაგალითად, ბუშის ადმინისტრაციამ ანტიკრიზისული ღონისძიებების „საცეცხლურში“ უკვე „დაწვა“ ტრილიონ დოლარზე მეტი; როგორც ვარაუდობენ, ობამას ადმინისტრაცია ანალოგიური მიზნებით დახარჯავს 800 მილიარდ დოლარს, ჩინეთი – 586 მლრდ. დოლარს, იაპონია – 49.9 ტრილიონ იენს (552.8 მლრდ აშშ დოლარს), ევროკავშირი – 2000 მილიარდ ევროზე მეტს.. ისეთ შედარებით პატარა ევროპული სახელმწიფოც კი, როგორიც ლატვიაა, რომელიც მოსახლეობით საქართველოს ნახევარია, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტით 2.5-ჯერ აღემატება მას, უახლოეს პერიოდში საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან 7.5 მილიარდი ევროს კრედიტის მიღებას იმედოვნებს.

**მესამე. ფისკალური შეღავათები ბიზნესსა და შინამეურნეობებს, ფინანსური დისციპლინის აქამდე მოქმედი მოთხოვნების რამდენადმე შესუსტება**. მაგალითად, აშშ-ში ობამას ადმინისტრაციის პირველივე წლის განმავლობაში ყოველი შინამეურნეობის წლიური შემოსავალი პირდაპირი გადასახადების შემცირებით გაიზრდება, სულ ცოტა, 1000 დოლარით (შედარებისათვის:. საქართველოში საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის შემცირება 25-დან 20 პროცენტამდე გამოიწვევს ერთ შინამეურნეობაზე დაახლოებით 110 აშშ დოლარის ექვივალენტის თანხის დაზოგვას წელიწადში). ევროკავშირმა დროებით, კრიზისის დაძლევამდე, შეაჩერა ჯერ კიდევ 1992 წელს მიღებული მაასტრიხტის ხელშეკრულების ის დებულებები, რომლებიც ითვალისწინებს სანქციებს ევროზონის იმ ქვეყნებზე, რომელთა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი აღემატება მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 3%-ს, ხოლო სახელმწიფო ვალი - მშპ-ის 60%-ს.

ში, ყოველთვის ცივდებოდნენ, სულ წამლები, ექიმი სჭირდებოდათ. რაც ქუჩაში გამოვედით, არ დაუხველებიათ, უფალმა ჯანმრთელობა მისცა.

**— დიდი ხანია, რაც აქ სხედხართ?**

— თითქმის ორი წელია. აბა რა ვქნა, ჩემი ასეთი ცხოვრება ჩემი მშობლების ბრალიცაა. ეკონომიკური ფაკულტეტი დავამთავრე, სულ წიგნი, სწავლა, არ ვიცოდი, გაჭირვება რა იყო.

**— უფასო სასადილოთი არ სარგებლობთ, რამე შემწეობას არ იღებთ?**

— ბავშვები მიმყავს ხანდახან სასადილოში. დავიღალე მთავრობასთან მათხოვრობით, წანწალით, დროს ტყუილად ვკარგავ. საშველი არ გამოჩნდა.

მეუღლეც მე დამაწვა კისერზე. ამ ცხოვრებას მან საერთოდ ვერ აუღო ალღო. ისიც მეცოდება, განიცდის ყველაფერს, დაავადმყოფდა. ბავშვებსაც ვერ იტოვებს, ნერვები არა მაქვსო.

არაფერს ვიშურებ, რომ არ მოშივდეთ. ზოგიერთმა მირჩია, ბავშვთა სახლში წაიყვანე შვილებიო, მაგრამ ერთი დღე რა გამაძლებინებს უმათოდ. მირჩევნია, ვიწვალო და ჩემთან იყვნენ.

ქურდი და მამაძაღლი არა ვარ. ამას წინათ ქალს ჩანთა დაუვარდა. 300 დოლარი ედო, 80 ლარი, მობილური ტელეფონი, საბუთები. მოვძებნე და შინ მივუტანე. ერთი ლარი არ გაიმეტა. გული ძალიან დამწყდა. ჩემს შვილებს ვერ შევარგე? ასე ცხოვრება არ შეიძლება-მეთქი. მაგრამ... უფალი ხომ ხედავს ყველაფერს, რამე გვეშველება.

**— კარგად იყავით, ეს წელი მაინც იყოს ბედნიერი თქვენთვის...** დავემშვიდობე, არც სახელი ვკითხე, არც გვარი. იმ წუთში ჟურნალისტური ინტერესის გამო როდი ვესაუბრე, უბრალოდ, ადამიანურად შევეცადე, თანამეგრძნო მისთვის.

ან რა საჭიროა სახელი და გვარი. ვისაც აუვლია ქაშუეთის წინ მიწისქვეშა გადასასვლელის კიბეზე, შეამჩნევდა, რომ კარგა ხანია იქ ერთი და იგივე ოჯახი გვხვდება. დედა, რომელიც თავის ორ შვილს დაჰფუსფუსებს, კიბეებზე თბილ ქვეშაგებს უგებს, სათამაშოებს დაუდებს და შიგადაშიგ „ბატი-ბუტსაც" ყიდულობს ხოლმე. დედა, რომელმაც ერთი შვილის სიცოცხლე ვერაფრით იხსნა, მაგრამ ღვთის იმედით, ახლა გოგო-ბიჭის გადასარჩენად თავისებურად იბრძვის, ხანდახან კი ცხოვრებასაც „უფერადებს".

**ნია ფიფია**

**მეზობლებთან**

# ხელისუფალნო, ჩრდილოელ კოლეგებზე სწორდით!..

**როგორც „კომსომოლკა" იუწყება (27.XII.08 წ., გვ.3), ვლადიმერ პუტინმა გასცა განკარგულება ფედერალურ ჩინოვნიკებზე ხარჯების 15 პროცენტით შეკვეცის შესახებ. შესაბამისი ცირკულარული წერილი რუსეთის პრემიერმინისტრს უკვე გაუგზავნია მთავრობის აპარატში და სამინისტროებში.**

კრიზისის პირობებში ხარჯების ჩამოჭრას იმავე 15 პროცენტით ელიან თვით აპარატშიც. ცნობილი გახდა, რომ პრემიერის ინიციატივას პარლამენტშიც გამოეხმაურნენ. ფედერაციის საბჭო სენატორებს (ზედა პალატის დეპუტატებს) 15 კი არა, 20 პროცენტით უპირებს დანახარჯების შემცირებას. დამდგარ 2009 წელს — პუტინის რეკომენდაციების გადაჭარბებით!

მეტიც, ფედერაციის საბჭოს წევრებს ეგებ მათზე მუდმივად მიმაგრებულ ავტომობილებზეც მოუწიოთ უარის თქმა, ისევე როგორც ბიზნეს-კლასით ფრენასა და აეროპორტის VIP დარბაზებზე. თურმე შესაძლოა სენატორებმა საერთაშორისო სიმპოზიუმებსა თუ ფორუმებში მონაწილეობაზეც აიღონ ხელი (ან აალებინონ!).

ასეა თუ ისე, ფედერაციის საბჭო 700 მილიონი რუბლის დაზოგვას გეგმავს (რაც ჩვენებურად 43 მილიონ ლარზე მეტია). სხვათა შორის, ამ ახალ ამბავს რაიმე განსაკუთრებული უკმაყოფილება საბჭოს წევრთაგან არ მოჰყოლია — ალბათ იმიტომ, რომ მრავალი მათგანი, სულაც არ არის ღარიბი...

სახელმწიფო სათათბიროში ხარჯთაღრიცხვის შემცირებაზე კი ჯერ არა ისმის—რა...

რძალს ეუბნებოდნენ და, მული, შენ გაიგონეო (ან პირიქით); ოღონდ ჩვენს ხელისუფალთ ასე ადვილად გააგონებ რასმე? რამდენი ხანია, „ვეხვეწებით" პრესის ფურცლებიდან — ასეთ დაქცეულ ქვეყანაში, საქართველო



რომაა, ასეთ საშინელ სოციალურ ფონზე, საქართველოში რომაა, ფუფუნებით ცხოვრებისაგან ცოტა თავი შეიკავეთ, დიდი ხელფასები ჩამოიჭერით, საზღვარგარეთ ნაირ-ნაირ პოლიტლონისძიებაზე წაგრიალებაზე ხელი აიღეთ, „საზღვარშიგნით" ამდენ ბრჭყვიალ-ბრჭყვიალა და ძვირადღირებულ შოუს ნუ აწყობთ, ამდენ ფასიან ნაცარს ნუ გვაყრით თვალებშიო — საქმეში ხარ? მაინც რომ თავისას ერეკებიან? გეგონება ფინანსურია ის კრიზისი თუ ეკონომიკური, ჩვენ არ მოგვადგება და სადმე წითელ ხიდთან, სარფთან ან როკთან გადაუხვევს...

**ეგ კი არა, ნეტავ სწორედ კრიზისის „ციტირებით" 15 ან 20 პროცენტით არ მოიმატებდნენ ხელფას-სარგოებს და ვინ მამაძაღლი, ხმა გავიღო...**

**რამაზ ეკალაძე**

# 2008: „დიადი გარდატეხის წელი" გლობალურ ეკონომიკაში

**მეოთხე.** თუ კრიზისამდელ პერიოდში „ფულის გატანას საქონლის გატანასთან შედარებით" უპირატესობა ენიჭებოდა, ახალ პირობებში **ქვეყნები ცდილობენ წაახალისონ საკუთარი საქონლის ექსპორტი და შეზღუდონ იმპორტი, მოიზიდონ ფინანსური ინვესტიციები და ნაკლებად იზრუნონ საფინანსო ექსპანსიაზე სხვა ქვეყნებში.** მოკლედ, ფინანსური რესურსების ტოტალური დეფიციტი და ფიზიკური ფორმის მქონე საქონელზე მოთხოვნის ტოტალური დაცემა მსოფლიოში ახლებურად აყენებს გლობალური თამაშის, ქცევის წესებს, მოქმედების სტრატეგიას, მოტივაციას.. მსოფლიო ეკონომიკის უმსხვილესმა მოთამაშეებმა აქტიურად დაიწყეს **ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ადმინისტრაციული და ეკონომიკური ბარიერების აღმართვა სამამულო პროდუქციის დასაცავად.** თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი, როგორც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ქვაკუთხედი, „ტურბოლენტურ მდგომარეობაშია" და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია თავისუფალი ვაჭრობის იდეის შენარჩუნებას მის წევრ სახელმწიფოთა მიერ ჯერჯერობით მხოლოდ დეკლარაციის დონეზე ახერხებს.

მედიის მეშვეობით ცნობილი ხდება „მამალი პროტექციონიზმის" სულ უფრო მეტი კონკრეტული ფაქტი. რუსეთში, მაგალითად, იმპორტირებული ავტომობილების ბაჟის ზრდას უკვე მოყვა მძაფრი საპროტესტო აქცია ვლადივოსტოკში — ეკონომიკური ხასიათის პირველი მასობრივი საპროტესტო გამოსვლა რუსეთის უახლოეს ისტორიაში, რომელიც ომონმა სასტიკად დაარბია.

პროტექციონიზმისა და ფინანსური სტაბილიზაციის ერთდროული მცდელობის მკაფიო მაგალითია სულ უფრო აქტიური მსჯელობა იმაზეც, რომ „ერთ მშვენიერ დღეს" დოლარის ნაცვლად აშშ, კანადა და მექსიკა ერთიან ვალუტას — **ამეროს** — შემოიღებენ და დანარჩენ მსოფლიოში გაბნეული დოლარის უზარმაზარი მასა (ამერიკის ხაზინის მიერ მოჭრილი ყოველი ხუთი დოლარიდან ოთხი ამ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიმოიქცევა) დიდი რეგრესიით იქნება გადაცვლილი ახალ ჩრდილოამერიკულ ვალუტაზე. აღნიშნულს ექსპერტები ამერიკის დეფოლტისაგან თავის დაღწევის შესაძლო ვარიანტადაც კი განიხილავენ.

**მეხუთე**. რაც უფრო აქტიურია ეროვნული და საერთაშორისო ინსტიტუტების ძალისხმევა ეკონომიკის ცალკეული სეგმენტების დასახმარებლად, მით უფრო დიდი კითხვის ნიშანი ესმება კერძო საქონელმწარმოებელთა ურთიერთობებისა და ინსტიტუციური რეგულირების დღემდე მოქმედ ნეოლიბერალურ, მონეტარისტულ მოდელს. **მონეტარიზმის, როგორც სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის მიმოქცევაში ფულის მასის სიდიდით რეგულირების იდეის წმინდა სახით ექსპლუტაცია აღარაა საკმარისი საბაზრო ეკონომიკის წინაშე მდგარი პრობლემების გადასაჭრელად, ამისათვის კომპლექსური საშუალებების, მათ შორის სახელმწიფოებრივი დახმარებების, შეღავათების, შეღავათებისა და სუბსიდირების სისტემის სრულმასშტაბიანი გამოყენებაა საჭირო.**



და ბოლოს, **მეექვსე**. ეკონომიკაში სახელმწიფოთა ჩარევა პოსტსოციალისტური პერიოდისათვის უპრეცენდენტო მასშტაბებს და ფორმებს ღებულობს. ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფოს მიერ კერძო სექტორის მხარდასაჭერად გაღებული ხარჯები უკვე მნიშვნელოვნად აღემატება პირდაპირი სოციალური დანიშნულებით გაღებული ხარჯების მოცულობას. საბიუჯეტო სახსრებით ასეთი არნახული „გულუხვობა" კერძო ეკონომიკის დასახმარებლად საკმაოდ სცდება „თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის" პრინციპებს და ითხოვს პასუხს კითხვაზე: **როგორი იქნება საზოგადოების უდიდესი ნაწილის (არამეწარმეების) შემოსავლები და კეთილდღეობა პირობებში, როდესაც სახელმწიფო, „არსენას ლექსის" პერიფრაზი რომ მოვახდინოთ, „ყველას ართმევს, ბიზნესს აძლევს..."?!.** ასეთი ეკონომიკა, პრინციპში, უკვე აღარაა „წმინდა წყლის" კაპიტალიზმი. ეს უკვე თვისებრივად „რაღაც სხვაა". **სახელმწიფო, ეკონომიკური პოლიტიკის, თამაშის ძირითადი წესების დამდგენის სტატუსით აღარ კმაყოფილდება და ეკონომიკურ ურთიერთობებში შემოდის (ხოლო პოსტსოციალისტურ ქვეყნებში კი „ბრუნდება") აგრეთვე როგორც ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშე და უახლოეს მომავალში ამ პოზიციების ხელახალ დათმობას, გარიდებას, როგორც ჩანს, აღარ აპირებს**. სიმპტომური ხდება უკვე დაწყებული საუბარი **საბაზრო ეკონომიკის „თითით საჩვენებელ ქვეყნებში"ეკონომიკის მთელი რიგი სეგმენტების ნაციონალიზაციის აუცილებლობისა და შესაძლებლობის** შესახებაც. ეს, რა თქმა უნდა, (ჯერ) არაა მარქსისტული იდეის რეინკარნაცია, მაგრამ უკვე **ბაზრის ყოვლისშემძლეობას, მის თვითრეგულირებისა და „თვითგაწმენდის" იდეას „მსუყე" წერტილს უსვამს.**

მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების თავისებურებების ზემოხსენებული ასპექტების არასრული სიაც კი მკაფიოდ მიუთითებს პირობების მომწიფებას ახალი საფინანსო-ეკონომიკური წესრიგისა და თამაშის ახალი წესების დასამყარებლად. ეს **„ახალი საფინანსო-ეკონომიკური წესრიგი" და „თამაშის ახალი წესები", ნამდვილად არ იქნება სოციალიზმი, თუმცა, ეს ვეღარც „ძველებური" კაპიტალიზმი იქნება.** სულ უფრო იკვეთება ნიშნები სისტემისა, რომელსაც ტერენტი გრანელის პერიფრაზირებას თუ მოვახდენთ (**„არა** სიცოცხლე. არა სიკვდილი. არამედ რაღაც სხვა..."), შეგვიძლია ვუწოდოთ: „არა კაპიტალიზმი. არა სოციალიზმი. არამედ რაღაც სხვა..."

ახალ მოვლენებს ახლებური თეორიული განზოგადება სჭირდება. **ახალი მოვლენების შესატყვისი „ეკონომიქსი" კი ჯერაც დასაწერია!** ბოლო ოცი წლის განმავლობაში ეკონომიკური თეორია უკვე **მეორედ** აღმოჩნდა გლობალური გამოწვევის წინაშე, რომელზეც მას ჯერჯერობით ადექვატური რეაგირების უნარი, პასუხი არ გააჩნია. — **პირველად** მეოცე საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, როდესაც მსოფლიო სოციალისტურმა სისტემამ დაიწყო დაშლა და ეკონომიკის ადმინისტრირებულ მართვაზე ორიენტირებული ქვეყნები ერთი-მეორეს მიყოლებით გადავიდნენ საბაზრო ეკონომიკაზე. მაშინ თითქმის არ არსებობდა კოლექტივისტურიდან კერძო საკუთრებაზე გადასვლის, განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის განხორციელების თეორიული დებულებები; ისინი ყალიბდებოდა ცდებისა და შეცდომების, გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯების განსჯისა და განზოგადების საფუძველზე და პარალელურად. ისევე როგორც 1988-1991 წლებში, 2008 წელსაც ეკონომიკური თეორია მთლიანობაში მოუმზადებელი შეხვდა მსოფლიო ეკონომიკაში დაწყებულ სისტემურ კრიზისს, გარდამტეხ ცვლილებებს წარმოების, მოთხოვნისა და მიწოდების, ტრანსნაციონალური ეკონომიკური ურთიერთობების სფეროებში. თუმცა, ამჟამინდელი „მოუმზადებლობა" გაცილებით დრამატული დატვირთვისა და დიდი საფრთხის მატარებელია, რადგანაც თავად პრობლემა, ოცი წლის წინანდელთან შედარებით, უფრო მასშტაბური და სისტემურია. ამგვარი სისტემური ხასიათის ჩიხიდან გამოსვლის მზა რეცეპტი, შიდსის ეფექტური სამკურნალო პრეპარატისა არ იყოს, 2009 წლის დასაწყისისათვის ჯერ კიდევ არაა გამოგონილი.

აღნიშნული კრიზისის „თეორიული ასპექტი" არაა მხოლოდ „საუნივერსიტეტო", „აკადემიურ-შემეცნებითი" დატვირთვის. — სწორედ თეორიული გაურკვევლობა და დაბნეულობაა იმის ძირითადი მიზეზი, რომ ერთი შეხედვით მემარცხენე პოლიტიკური ძალების მოედანზე გათამაშებული ბურთი (სიტუაცია) აბსოლუტურად გამოუყენებადია პოლიტიკური სპექტრის „მემარცხენე ფლანგელების" მიერ. ეს კი სულ უფრო აქტუალურს ხდის გლობალური მასშტაბით ახალი ვითარების შესატყვისი ახალი სოციალური ძალების, იდეოლოგიის, მარტო ფიგურალური კი არა, პირდაპირი გაგებითაც „ახალი მემარჯვენეობისა" და „ახალი მემარცხენეობის" დამკვიდრებას. აი, ჯერ კიდევ სად შეიძლება ეკონომიკურად, პოლიტიკურად და იდეოლოგიურად 2008 წელს თითქმის მთლიანად გაკოტრებული ნეოლიბერალიზმის იდეის რეინკარნაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში „მემარჯვენეობისა" და „მემარცხენეობის" ნიშებს სწრაფად დაიკავებენ სოციალური დაპირისპირების წინა ხაზს აქამდე თითქოსდა „გარიდებული" ნაციონალისტურად, კონფესიულად და მსოფლმხედველობრივად რადიკალური ძალები. აქედან კი ერთი ნაბიჯილაა იმ მდგომარეობამდე, რომელსაც სულ ახლახან, ახალი წლის წინა დღეებში გარდაცვლილმა ამერიკელმა სოციოლოგმა და პოლიტოლოგმა სამუელ ფილიპს ხანტინგტონმა „ცივილიზაციათა შეჯახება" უწოდა.

როგორი იქნება თანამედროვე კრიზისიდან გამოსვლის თეორიული პარადიგმა, რა კუთხით შეხედავს იგი მარქსისტულ, კეინსიანურ, სხვა აქამდე ცნობილ თეორიებს, რა გარდატეხას შეიტანს იგი ბაზრის მოთამაშეთა მოტივაციასა და პრაქტიკულ ქმედებებში, რა როლს, ფუნქციებსა და უფლება-მოვალეობებს იტვირთავს სახელმწიფო, როგორც ეკონომიკური მოთამაშე, ამაზე სრულყოფილ პასუხს ახლანდელი ეკონომიკური პროფილის სპეციალობების ბაკალავრიატის სტუდენტები ახალი, თვისებრივად და ეტიმოლოგიურად ახლებური დატვირთვის „ეკონომიქსიდან", ვინძლო, მაგისტრატურაში სწავლისას მაინც მიიღებენ... თუმცა, რატომ მარტო ეკონომიკური პროფილის მქონე სტუდენტები? — **ეკონომიკური პარადიგმის შეცვლა თავისთავად ნიშნავს არა მარტო ახალ ეკონომიკურ სისტემას, არამედ პოლიტიკური სისტემამზიდი კარკასების შეცვლასაც.**

ამიტომ იმაზე, თუ როგორ შეძლებს ეკონომიკური თეორია პასუხის მოძებნას ამ ახალ რეალიებსა და გამოწვევებზე, რაშიც მსოფლიო ეკონომიკა მიმდინარე სისტემური კრიზისის გამო აღმოჩნდა, დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ ეკონომიკის, არამედ სოციალური, ეკოლოგიური, პოლიტიკური და სხვა სახის, უსაფრთხოებაც, მთელი სამყაროს, როგორც მოაზროვნე ადამიანთა ერთიანი, საერთო ცივილიზაციის, მომავალი...

**იოსებ არჩვაძე**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# ქართული ოპოზიცია გაიფანტა

**როგორც ჩვენი გაზეთისთვის გახდა ცნობილი, ქართული ოპოზიციის რადიკალურ ნაწილს განზრახული აქვს, ომი გამოუცხადოს ხელისუფლებას უკვე ამ გაზაფხულზე და მიაღწიოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ვადამდელ გადადგომას ქუჩის საპროტესტო აქციების წყალობით.** გადამწყვეტი ბრძოლებისთვის მზადების დროს ოპოზიციამ გააუქმა აქცია, რომელიც გათვალისწინებული იყო 25 იანვრისთვის. სხვათა შორის, ოპოზიციონერთა ბანაკში ერთიანობა არ არის, და ექსპერტები ეჭვს გამოთქვამენ მის უნარში, აღძრან მასები ახალი რევოლუციისთვის.

25 იანვრისთვის დანიშნული ანტისამთავრობო აქციის გაუქმების სურვილის შესახებ ჩვენ გვაცნობა პარტიის „ერთიანი საქართველოსთვის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ეკა ბესელიამ – საქართველოს თავდაცვის ექს-მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის უახლოესმა თანამებრძოლმა. როგორც ცნობილია, ოქრუაშვილმა პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო საფრანგეთში. ბესელიას სიტყვებით, „25 იანვრის მიტინგის გადადების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო გაერთიანებული ოპოზიციის საბჭომ, მათ შორის ჩვენმა პარტიამაც. სახალხო პარტიამ, კონსერვატიულმა პარტიამ, აგრეთვე ყოფილმა პრეზიდენტობის კანდიდატმა გაერთიანებული ოპოზიციიდან ლევან გაჩეჩილაძემ“. ამავე დროს, ეკა ბესელიას სიტყვებით, ოპოზიციას არ აქვს განზრახული, უარი თქვას პრეზიდენტ სააკაშვილის გადაყენების კურსზე და ვადამდელი არჩევნების მოწყობაზე. „ამჟამად ოპოზიცია ემზადება პროტესტების პერმანენტული აქციებისთვის ადრეული გაზაფხულიდანვე ერთადერთი მოთხოვნით – პრეზიდენტის გადადგომა, – განაცხადა მან. – ამავე დროს გამაფრთხილებელი აქციები არ უპასუხებს ხალხის სურვილს, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ და უპირობო გადადგომას პრეზიდენტისა. გაზაფხულზე აქცია დაიწყება და არ დამთავრდება მთავარი მოთხოვნის შესრულებამდე. თუ ხელისუფლება გამოიყენებს ძალას, ეს მისი კრახი იქნება. ჩვენ ვიდგებით ქუჩაში ბოლომდე და სწორედ ამიტომ გადაგვაქვს მიტინგი და მანიფესტაციები გაზაფხულისთვის – ყინვაში ასეთი აქციების მოწყობა ხომ ძნელია“. მან აღნიშნა, რომ ოპოზიციის ყველა გადაწყვეტილება შეთანხმებულია ირაკლი ოქრუაშვილთან, რომელიც „ყურადღებით ადევნებს თვალყურს მოვლენათა განვითარებას და არ გამორიცხავს თავის ჩართვასაც, ვინაიდან იგი ქართული პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს“. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ დაადასტურა, რომ იანვრის აქცია გადაიდო.

„25 იანვრის აქცია ჩვენ გადავდეთ იმიტომ, რომ იგი იგეგმებოდა, როგორც ერთდღიანი, გამაფრთხილებელი აქცია კონკრეტული მოთხოვნებისა და შედეგების გარეშე. საზოგადოება კი მოითხოვს ჩვენგან ისეთი აქციის მოწყობას, რომ სააკაშვილი წავიდეს ერთხელ და სამუდამოდ, – განაცხადა მან. – უკანასკნელი და გადამწყვეტი აქცია დაიწყება მარტიდან. ჩვენ არ დავიშლებით გამარჯვებამდე. არ გამოვრიცხავთ სახელმწიფო დაწესებულებათა მშვიდობიან პიკეტირებას, ვემზადებით მეტად რადიკალური აქციებისთვის და სახალხო მღელვარებისთვის.

მაგრამ ოპოზიციის ამ ნაწილის რადიკალიზმს მხარს როდი უჭერს ყველა ოპოზიციური ძალა. მაგალითად, რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ „ჩვენი პარტიის მონაწილეობის საკითხი ამგვარ აქციებში არ განიხილება“. ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა იოსებ შატბერაშვილმა განაცხადა, რომ „ლეიბორისტები უპირატესობას ანიჭებენ პრეზიდენტის იმპიჩმენტს. ეს პროცესი უკვე ინიციირებულია ჩვენგან და მას ბოლომდე მივიყვანთ“. საკმაოდ ფრთხილები არიან საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები.

„საერთოდ, მშვიდობიან აქციებს კონსტიტუციის ფარგლებში ჩვენ მივესალმებით, – განუცხადა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს დეპუტატმა ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობისაგან“ ნიკა ლალიაშვილმა. – მაგრამ ოპოზიციის იმ ნაწილის გეგმასთან დაკავშირებით, რომელიც დღეს გამოდის ხმამაღალი განცხადებებით, პარტიული პოზიცია ჩვენ ჯერ არ განგვისაზღვრავს. ჩვენ უბრალოდ არც განგვიხილავს ეს საკითხი“. მმართველი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წარმომადგენლები აგრეთვე საკმაოდ მშვიდად რეაგირებენ ოპოზიციის მზადებაზე. „ჩვენ ვემზადებით ოპოზიციასთან კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის, – განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა. – მზად ვართ განვიხილოთ ყველა წინადადება რეფორმებსა და კანონმდებლობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით“.

„რადიკალურმა ოპოზიციამ გაფანტა სოციუმის საპროტესტო ნაწილის მხარდაჭერის კაპიტალი, რომელიც მათ ჰქონდათ უცხოეთში 2007-2008 წლებში, – მიაჩნია დამოუკიდებელ ექსპერტს დავით ავალიშვილს. – ოპოზიციამ ვერ შეძლო მიეღწია ხელისუფლების შეცვლას, მიუხედავად იმისა, რომ თავი მოუყარა ასიათასიან მიტინგს. ასეთივე რესურსის მობილიზება მან ძნელად რომ კიდევ შეძლოს. საჭიროა ახალი ლიდერები და ახალი იდეები“.

რაც შეეხება ახალ ლიდერებს, ისინი ჯერჯერობით მოცდის პოზიციას ამჯობინებენ. გაეროსთან საქართველოს ყოფილი მუდმივი წარმომადგენელი ირაკლი ალასანია, რომელსაც თბილისში ბევრი „საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად მიიჩნევს ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაციისგან“, თბილისში გამოჩნდა სულ რამდენიმე დღით, გამართა პრესკონფერენცია და კვლავ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაფრინდა. როგორც ჩვენ გაზეთს აცნობეს საქართველოს პარლამენტის ექს-სპიკერის ნინო ბურჯანაძის პარტიიდან „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“, „პარტიას ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება იმის შესახებ, მიიღებს თუ არა მონაწილეობას გაზაფხულის საპროტესტო აქციებში და რა ფორმით“. ადრე ქალბატონი ბურჯანაძე აცხადებდა, რომ მიხეილ სააკაშვილი უნდა წავიდეს „რაც შეიძლება მალე“. ანალოგიური პოზიცია აქვს ექს-პრემიერ ზურაბ ნოღაიდელსაც. ჯერ გეგმები არ ჩამოუყალიბებია რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ექს-ელჩს ეროსი კიწმარიშვილს. „ასეთი აქციები საგულდაგულოდ უნდა იყოს მომზადებული“, – განაცხადა მან.

გიორგი დვალი

Коммерсант

# „საქართველოს სახელი“: სტალინი განზე რჩება

**იოსებ სტალინი ვერ მოხვდა საქართველოს ტელევიზიის „პირველი არხის“ პროექტის 50 ნახევარფინალისტის სიაში – „საქართველოს დიდი ათეული“.** პროექტი დაიწყო თითქმის ერთდროულად რუსეთის ტელევიზიის „რუსეთის სახელი“ ანალოგიურ პროგრამასთან ერთად. სამაგიეროდ, გამარჯვების პრეტენდენტთა შორის აღმოჩნდა 8 მეფე, 11 სასულიერო მოღვაწე, 17 ხელოვნების მოღვაწე, მათ შორის 12 მწერალი და პოეტი, რამდენიმე პოლიტიკოსი, სამხედრო და ერთი სპორტსმენი. ძალიან ბევრი ქართველის გასაოცრად ყველაზე მაღალი რეიტინგი დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა საქართველოს პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას.

„ხალხთა ბელადის“ არყოფნა პირველი შესარჩევი ეტაპის გამარჯვებულთა შორის გახდა საბაბი დიდი სკანდალისა. საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ ხელმძღვანელი გრიგოლ ონიანი ამტკიცებს: იოსებ სტალინმა თითქოს 39-ე ადგილი დაიკავა საერთო რეიტინგში, მაგრამ არაკეთილმოსურნეებმა „მექანიკურად ამოაგდეს იგი შემდგომი მონაწილეების სიიდან“.



„მზეს ხელით ვერ დამალავ!“– ასე გამოხატა თავისი აღშფოთება პროექტის ორგანიზატორების მისამართით ამხანაგმა ონიანმა. საერთოდ კი, ბევრმა ხმის მიცემის შუალედური შედეგი აღიქვა უნდობლობით. მიუხედავად იმისა, რომ სტალინის პოპულარობა ქართველ ახალგაზრდობას შორის მართლაც არ არის მაღალი, უფროსი თაობის ბევრი წარმომადგენელი მასზე პირდაპირ ლოცულობს.

ამას, სხვათა შორის, აღიარებს სააკაშვილის გუნდის ბევრი წარმომადგენელიც. კერძოდ, მთავრობის ვიცე-პრემიერი გიორგი ბარამიძე. სხვათა შორის, სწორედ მან სამხრეთ ოსეთში ომის შემდეგ ჯუღაშვილს „ქართველი ხალხის მტერი“ უწოდა. და წინადადება წამოაყენა – გადაეტანათ „საბჭოთა სპორტსმენების საუკეთესო მეგობრის“ ერთადერთი ძეგლი, რომელიც ქალაქ გორის ცენტრში დგას, სტალინის სახლ-მუზეუმში, რომელსაც გადაერქვა სახელი და ახლა „რუსული ოკუპაციის მუზეუმი“ ეწოდება. „სტალინი მილიონობით ადამიანის, მათ შორის, ქართველების ჯალათია“, – თქვა ბარამიძემ.

და მაინც საზოგადოება „სტალინის“ ლიდერი, შეიძლება, მართალია. საქმე ის არის, რომ ბევრი ექსპერტი მიიჩნევს სააკაშვილის ანტისტალინიზმს პიარ-კამპანიის ნაწილად, რომელიც მიზნად ისახავს თავისი დემოკრატიული იმიჯის განმტკიცებას დასავლელი მფარველებისა და პარტნიორების თვალში. მით უმეტეს, რომ სტალინის რეჟიმის ოფიციალურ დაგმობამდე საქმე მაინც ვერ მივიდა. სხვა სოციოლოგიური გამოკვლევებიც არჩვენებენ, რომ სხვაობა სტალინის აპოლოგეტებსა და მის მოწინააღმდეგეებს შორის არც ისე დიდია. ეს უკანასკნელები საშუალოდ 10-12 პროცენტს შეადგენენ. თანაც თითქმის ამდენივეს არც კი განუსაზღვრავს თავისი დამოკიდებულება თანამემამულე დიქტატორისადმი. თუმცა ცოტამ თუ შეამჩნია, რომ ნახევარფინალისტების რიცხვში არ მოხვდა კინოფილმ „მონანიების“ ავტორი თენგიზ აბულაძე.

სკანდალი სტალინთან დაკავშირებით არ არის არც პირველი და არც უკანასკნელი. თავდაპირველად სწრაფად და მკვეთრად გაიზარდა ხმების რაოდენობა ლავრენტი ბერიას სასარგებლოდ. ორგანიზატორებს „მოუწიათ“ განეცხადებინათ იმის შესახებ, რომ ამაში დამნაშავეები ჰაკერები არიან. შემდეგ ზვიად გამსახურდიას ქვრივმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ გააპროტესტა „ჯალათების, სახელმწიფო უშიშროების ჩინოვნიკების, სამშობლოს გამყიდველების“ კონკურსში მონაწილეობა. მან მოითხოვა ამოეღოთ სიიდან თავისი მეუღლე. აგრეთვე თავისი მამამთილიც – ქართული ლიტერატურის კლასიკოსი კონსტანტინე გამსახურდია.

ტელეპროექტის ფორმატის წინააღმდეგ გამოვიდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესია. აქ გაუმართლებლად მიაჩნიათ „ერთგვარი შეჯიბრების“ მოწყობა წმინდანებთან გათანაბრებულებს შორის. ეკლესია აწარმოებს მოლაპარაკებას „პირველი არხის“ ხელმძღვანელობასთან, რათა გადაიჭრას ეს პრობლემა. დრო კი ცოტა რჩება. 16 იანვარს პროექტი დასკვნით ფაზაში შედის, როდესაც საქმეში ჩაერთვება კანდიდატების „ფან-კლუბების“ წარმომადგენლები. თუმცა უკვე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ორგანიზატორების მცდელობით ხმის მიცემის საბოლოო შედეგები საკმაოდ პოლიტიზებულია. ექსპერტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ათეულში აუცილებლად შევლენ მეფე დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, შოთა რუსთაველი, ქართველთა სულიერი მამა ილია ჭავჭავაძე, პოეტი აკაკი წერეთელი და, ბუნებრივია, მამა და შვილი გამსახურდიები. მაგრამ გამარჯვებულთა შორის ნამდვილად არ იქნებიან მსახიობი სოფიკო ჭიაურელი და ქართული ფეხბურთის ლეგენდა დავით ყიფიანი.

კირილ კოლოდინი

Известия

თარიღი

# კაცი, შენებისთვის დაბადებული

## დავით (ჯემალ) გაგუნაშვილი – 75

**75 წელი უსრულდება სააქციო საზოგადოება „საქსაშენმეცნიერების“ და მისი ქვემდებარე კალე ქუთათელაძის სახელობის საშენ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გენერალურ დირექტორს, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს და დამსახურებულ მშენებელს, ღირსების ორდენის კავალერს, დარგის და ორგანიზაციის ამაგდარ ხელმძღვანელს ბატონ დავით სოლომონის ძე გაგუნაშვილს.**

ბატონი დავითი ჭეშმარიტი მამულიშვილი და ღირსეული მოქალაქეა, ერთგული და თბილი მეოჯახე, მოსიყვარულე და ყურადღებიანი მამა, ბაბუა და დიდი ბაბუა, კეთილშობილი და სიკეთის განმასახიერებელი მეგობარი და ნათესავი.



ბატონი დავითი საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ (1957 წ.) მუშაობას იწყებს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროში ინჟინრად, შემდეგ განყოფილების გამგედ. 1963 წლიდან გადაჰყავთ რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, ხოლო 1973 წლიდან – რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრის მოადგილედ. ხელმძღვანელ ორგანოებში მუშაობისას ბატონმა დავითმა დიდი წვლილი შეიტანა სახალხო მეურნეობის – განსაკუთრებით მშენებლობის, სწორი დაგეგმვისა და განვითარების საკითხებში, დიდი შრომა გასწია სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების ცხოვრებაში განხორციელებისთვის. მისი უშუალო კურატორობით და ხელმძღვანელობით აშენდა რესპუბლიკის მრავალი ღირსშესანიშნავი შენობა-ნაგებობა და სამრეწველო ობიექტი.

1976 წლიდან დავით გაგუნაშვილი სამეცნიერო სამუშაოზეა – კალე ქუთათელაძის სახ.საშენ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა. 1979 წლიდან დღემდე კი სს „საქსაშენმეცნიერების“ გენერალური დირექტორია. ამ წლებში მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით ინსტიტუტში ვითარდება ბეტონის მაღალი სიმტკიცის ზემსუბუქი ხელოვნური შემვსებების, სხვადასხვა სახის მოსაპირკეთებელი ფილების, მინის ბოჭკოვანი მასალების და სხვათა ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე მიღების ტექნოლოგიების შემუშავება.

ბატონი დავითი მრავალი სამეცნიერო შრომის და ტექნიკური სიახლის მშენებლობასა და საშენ მასალათა მრეწველობაში განხორციელების ინიციატორი, ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია; ათობით გამოგონების, სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მისი თაოსნობით დაარსდა ჟურნალი „საშენი მასალები და ნაკეთობები“ – იგი წლების განმავლობაში იყო მისი უცვლელი მთავარი რედაქტორი, რამდენიმე სამეცნიერო საბჭოს წევრი და თავმჯდომარე.

მისმა ორგანიზატორულმა ნიჭმა, ერთის მხრივ, თანამშრომელთა მიმართ საშემსრულებლო დისციპლინის მკაცრმა მოთხოვნამ, მეორე მხრივ, მათ მიმართ გულისხმიერების, მზრუნველობის, თანადგომის გამოჩენის საოცარმა უნარმა განაპირობა დღევანდელ რთულ პირობებში შეენარჩუნებინა კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივის სიცოცხლისუნარიანი, ძირითადი ბირთვი, რომელიც დღემდე აგრძელებს შრომას რესპუბლიკის სამშენებლო ინდუსტრიის ხარისხის კვლევის საკითხების შესასწავლად და გასაუმჯობესებლად.

ბატონ დავით გაგუნაშვილს მისი მადლიერი კოლექტივი დაბადების 75-ე წელს ულოცავს და უსურვებს, კიდევ დიდხანს ეშრომოს და ეღვაწოს ხალხის და ერის საკეთილდღეოდ დღევანდელი ხალისითა და შემართებით.

**მრავალჟამიერ თქვენ, ბატონო დავით!**

**სააქციო საზოგადოება „საქსაშენმეცნიერების“ კოლექტივი**

# მეგობრები ულოცავენ

**თქვენი დაბადებიდან 75 წლისთავზე ჩვენ, თქვენი მეგობრები, თქვენი ლამაზი და შინაარსიანი ცხოვრების ორ მხარეს გამოვყოფთ:**

ძალზე ნაყოფიერ შრომით მოღვაწეობას: – ხართ საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, სააქციო საზოგადოება „საქსაშენმეცნიერების“ და საშენ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გენერალური დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი და დამსახურებული მშენებელი.

განსაკუთრებით დიდია თქვენი ღვაწლი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობის, საშენ მასალათა მრეწველობის დარგში სამეცნიერო დამუშავებათა და მათი დანერგვის საქმეში.

თქვენ გამოირჩევით: დიდბუნებოვნებით, მეგობრებისადმი თანადგომით, წრფელი გულით, დიდი კაცთმოყვარეობით, შესანიშნავი და მაღალი ღირსებით შემკული ოჯახის თავკაცობით.

ამ მაღალმა თვისებებმა განაპირობეს თქვენი პოპულარობა, თქვენდამი დიდი პატივისცემა, სიყვარული და მოკრძალება.

ასეთ კაცს, უცხოსაც კი, კეთილ სურვილებს უსურვებს ადამიანი, თქვენ კი ჩვენი ხართ და მთელი გრძნობებით გისურვებთ ჯანმრთელ ცხოვრებას, შემდგომ წარმატებებს, შვილების, შვილიშვილების და შვილთაშვილების ბედნიერებას, თქვენი მშობლიური საქართველოს აყვავებას და მშვიდობას.

**შენი მეგობრები**

იუბილე

***გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, მსოფლიო სახელის მქონე ფიზიკოს-ექსპერიმენტატორის, აკადემიკოს ირაკლი გვერდწითელის (1918-1991) დაბადების 90 წლისთავისათვის კარგი საჩუქარი მოამზადეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტმა და მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოებამ: მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი კრებული, რომლის რედაქტორ-შემდგენლები არიან ანზორ გულდამაშვილი და რაფიელ ჩიქოვანი, ტექნიკური რედაქტორია აკაკი ჩიქოვანი, კომპიუტერული უზრუნველყოფა კი დევი ღარიბაშვილს ეკუთვნის.***

უნიჭიერეს მკვლევარს ირაკლი გვერდწითელს ბედმა მრავალ წელს არგუნა დახურული, გასაიდუმლოებული, „ფარდისმიღმა“ მოღვაწეობა (ატომური ენერგეტიკა, ბირთვული ფიზიკა, კოსმოსური ფიზიკა) და თუ როგორ სიმაღლეებს მისწვდა ასეთი საქმიანობით, ეს ერთხანს მხოლოდ სპეციალისტთა არცთუ ფართო წრეებში იყო ცნობილი. ახლა კი ყველაფერი „განსაიდუმლოებული“, გახსნილი და ფარდაახდილია ხსენებული მემორიული წიგნით „ირაკლი გვერდწითელი 90“.

საგრძნობი წვლილი კოსმოსური ატომური ენერგეტიკის განვითარებაში და ბირთვული ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის ფიზიკურ-ტექნიკური პრობლემების გადაჭრის ფუძემდებელთა რიგებში ყოფნა; ასევე საგრძნობი წვლილი თერმოელექტრული მეთოდით ელექტროენერგიად სითბური ენერგიის გარდაქმნის მეცნიერული საფუძვლების დამუშავებაში; პრიორიტეტული შრომების ავტორობა მყარი სხეულის ფიზიკის პერსპექტიულ სფეროებში; მსოფლიოში პირველი თერმოელექტრული რეაქტორ-გარდამქმნელის „რომაშკას“ შემქმნელთა რიცხვს მიკუთვნება; ისევ მსოფლიოში დიდ სპეციალისტად აღიარება თერმოემისიურ გარდამქმნელებში და კიდევ ბევრი სხვა.

## სამგზის უდავობით...

ეს არასრული, თუმცა შთამბეჭდავი ჩამონათვალი შეგვიქმნის წარმოდგენას ირაკლი გვერდწითელზე – მკვლევარზე; არანაკლებ მომნუსხველია მისი, როგორც ხელმძღვანელ-ორგანიზატორის სახე: სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის, მოსკოვის ოლქის ქალაქ პოდოლსკის სამეცნიერო-კვლევითი ტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი, თბილისში სტაბილური იზოტოპების ინსტიტუტის დამაარსებელი, სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სამუშაოთა უბადლო გამძღოლი, არაერთი სამეცნიერო ცენტრის დამფუძნებელი, საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, პლუს სახელმწიფო, პარტიული, საზოგადო მოღვაწე...

ირაკლი გვერდწითელი გახლდათ რამდენიმე ასეული შრომის, იმათ რიცხვში 47 გამოგონების ავტორი, 50-ზე მეტი მკვლევარის საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაციების მეცნიერი-ხელმძღვანელი; გახლდათ ის, ვინც გარშემო გამუდმებით იკრებდა ახალგაზრდებს და მათთან ერთად ეწეოდა ღრმა ჩანაფიქრთა რეალიზებას; ის, ვინც 1967 წელს ლაიფციგში მიიწვია გერმანელმა ნობელიანტმა ფიზიკოსმა გუსტავ ჰერცმა თავის 80 წლისთავზე და საჯაროდ წარადგინა ძველ, სოხუმელ მეგობრად... ვინც 1985-ში რომის პაპმა იოანე პავლე II-მ მიიღო, მშვიდობის შესანარჩუნებლად მასობრივი მოსპობის იარაღის გამოყენების მიზანშეუწონლობის თაობაზე ესაუბრა და ვატიკანის მედალი გადასცა...

კრებულის სარჩევიდან ორი ქართული სახელ-გვარი შევარჩიეთ „სად წაყვანილი სადაური“ ჩვენი თანამემამულისა: სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **თინა ასათიანი** (ერევანი) და რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ანრი რუხაძე** (მოსკოვი).

**სიტყვა ქალბატონ თინას:**

„ირაკლი გვერდწითელის ცხოვრების გამოყოფა მისი სამეცნიერო მოღვაწეობიდან შეუძლებელია, ვინაიდან ირაკლის ცხოვრება ძირითადად სწორედ საქმიანობა გახლდათ. ის იმ დროს ცხოვრობდა და მუშაობდა, როცა გამოჩენილ მეცნიერთა შესახებ ჩვენ ვიგებდით მხოლოდ მათი სიკვდილის შემდეგ, რადგან სიცოცხლეში სახელებიც კი გასაიდუმლოებული ჰქონდათ. მაშინ ჩვენ არ ვიცოდით, თუ ვის უნდა ვუმადლოდეთ მაღალ მიღწევებს მეცნიერებასა და ტექნიკაში, ბირთვულ ფიზიკასა და კოსმოსის კვლევაში წარმატებებს. არ ვიცოდი მეცნიერებაში მათი რთული და გამტანჯველი გზის შესახებ და ცხოვრებაში დამუშავებათა დანერგვის თაობაზე. ახლა ასეთი ზეიდუმალება უკვე აღარაა. და მეტი ვიცით და ლაპარაკიც შეგვიძლია. ირაკლი გვერდწითელიც ამგვარი გამოჩენილი სწავლული იყო“...

**ბატონ ანრისაც მოვუსმინოთ:**




„პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ირაკლი გვერდწითელის მიერ სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის მართვის პერიოდი (1962-1967 წლები) ინსტიტუტისათვის ოქროს წლებად იქცა... ირაკლი გრიგოლის ძემ სიცოცხლეში თავად დაიდგა „ძეგლი ხელთუქმნელი“: ის „ჩაკირულია“ დანადგარებში „ბუკი“, „ტოპაზი“, „ენისეი“ და რამდენიმე სხვაც. ამ დანადგართა წყალობით ირაკლი გვერდწითელის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება არა მარტო ფიზიკოს-ბირთვოსანთა, არამედ ფიზიკოს-კოსმოსანთა შორისაც“.

...აი ასეთი პიროვნების 90 წლისთავს მიუძღვნეს საიუბილეო სხდომა სმეა-მ და მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოებამ აკადემიის პრეზიდენტის თამაზ გამყრელიძის შესავალი სიტყვით, პროფესორ ანზორ გულდამაშვილის ძირითადი მოხსენებით, სხვა სწავლულთა გამოსვლებითა და მოგონებებით.

ფრიად საგულისყურო მეჩვენა პასაჟი პროფესორ რაფიელ ჩიქოვანის გამოსვლიდან: „აკადემიკოსი ირაკლი გვერდწითელი საოცრად ნიჭიერი ადამიანი ბრძანდებოდა. უდავოდ დიდი მეცნიერი, უდავოდ მეცნიერების ბრწყინვალე ორგანიზატორი; უდავოდ ქვეყნის დიდი პატრიოტი, სახელმწიფო აზროვნების მქონე“. ეს ყველაფერი მართლაც უდავოდ წარმოჩნდა სმეა-ს სხდომათა დარბაზში მყოფთათვის...

**თამაზ ებანოიძე**

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ კოსტავას 12 98-65-87; 899 32-85-76.

◉ დაპირისპირება

# რატომ აირია „მონასტერი?!“



**საქართველოს ძიუდოს ფედერაცია ერთ-ერთი წარმატებული ორგანიზაციაა, რასაც ბოლოდროინდელი გამარჯვებებიც მოწმობს. დასტურად ისიც გამოდგება, რომ ჩვენმა ძიუდოისტებმა მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატებზე ზედიზედ ორჯერ დაიპყრეს კვარცხლბეკი, ათენისა და პეკინის ოლიმპიადებზე ოქროს მედლები მოიხვეჭეს ზურაბ ზვიადაურმა და ირაკლი ცირეკიძემ. აღარაფერს ვამბობთ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე მოპოვებულ ჯილდოებზე. ამ წარმატებებში დიდი წვლილი ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელს შოთა ხაბარელსაც მიუძღვის.**

გუშინ რომ შევიტყვეთ, ძიუდოს ფედერაციაში ნაკრების თავკაცის პრესკონფერენციააო, ვიფიქრეთ, თბილისში გასამართი მსოფლიო თასის და ევროპის ჩემპიონატის შესახებ იქნებოდა საუბარი. დილომში მისულ ჟურნალისტებს კი ცუდი ამბავი დაგვხვდა — შოთა ხაბარელმა დაუფარავად გაგვიმხილა, რომ ფედერაციის პრეზიდენტი დილარ ხაბულიანი და პირველი ვიცე-პრეზიდენტი დავით კოდანოვი (ბერძენიშვილი)ძ ყოველმხრივ ცდილობენ, თანამდებობა დამატოვებინონო. ძალიან გაგვიკვირდა, რადგან ბატონი შოთა წარმატებული მწვრთნელია, შარშან მეოთხედ აღიარეს მსოფლიოში საუკეთესოდ.

ჟურნალისტთა შეკითხვაზე, რაში აძლევს ხელს ფედერაციას თქვენი თავიდან მოშორებაო, ბატონმა შოთამ უპასუხა: „მეც არ ვიცი. ალბათ, ჩემი ავტორიტეტი არ აძლევთ მოსვენებას. ან იმიტომ იძიებენ შურს, რომ შარშან ფედერაციის პრეზიდენტობაზე შევიტანე განცხადება“.

— ჩემგან მწვრთნელის პოსტის დატოვებას მოითხოვენ, მაგრამ მე არსად ვაპირებ წასვლას. ამგვარი ნაბიჯი ბიჭების ღალატი იქნება, მით უმეტეს, რომ წინ ორი მნიშვნელოვანი შეჯიბრება გველის, — დასძინა ოლიმპიურმა ჩემპიონმა.

ცხადია, მხოლოდ ერთი მხარის განცხადებას ვერ დავეყრდნობოდი, ამიტომ ფედერაციის პრეზიდენტსა და პირველ ვიცე-პრეზიდენტსაც დავეკითხე.

დილარ ხაბულიანი: ჩვენს შორის მოუგვარებელი პრობლემა არ შეიძლება იყოს, რადგან ამდენი ხანია, ერთად ვეწევით ჭაპანს. ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ძიუდომ მოწინავე პოზიციები არ დათმოს. ახლაც ვეცდებით, შინაური უთანხმოება დროულად დავძლიოთ. ხაბარელის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს.

დავით ბერძენიშვილი: ეტყობა, ხაბარელი იმან გააღიზიანა, რომ ყრილობის დავალებით დახარჯული თანხების შემოწმება გადავწყვიტეთ: გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებისთვის საქართველოს ნაკრები 50 ათასი დოლარით დააჯილდოვეს. როგორ განაწილდა ეს თანხა, არაფერი ვიცით...

გუშინ გაირკვა, რომ ფედერაციაში არც ისე მარტივადაა საქმე. ეს დაპირისპირება რა შედეგს გამოიღებს, ახლო მომავალი გვიჩვენებს. ღმერთმა ქნას, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდეს. ერთ კვირაში ხომ მსოფლიოს თასის გათამაშებას უნდა ვუმასპინძლოთ!

**ლექსო ცინცაძე**

◉ ადამიანი დროში



**ჯემალ ჭიპაშვილი, რომ იტყვიან, ფეხბურთში ჭიპმოჭრილი კაცია. სპორტის საყვარელ სახეობაზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება მკითხველსა და გულშემატკივარს იმ ბობოქარი წლებიდან ახსოვს, როცა დამოუკიდებლობის რელსებზე შემდგარი ქართული ფეხბურთი დიდი ნოდარ ახალკაცის თავკაცობით პირველ ნაბიჯებს დგამდა თვითდამკვიდრების გზაზე და ჩვენი დღევანდელი ნომრის სტუმარი ჯერ გაზეთ „ქართულ ფეხბურთს“ რედაქტორობდა, ხოლო შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურს უძღვებოდა.**

**„ფილიმონოვიჩი“ შემდგომშიც აქტიურად თანამშრომლობდა საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლებთან და კოლეგათათვის სამაგალითო ურთიერთობის ეტალონად ითვლება. სხვათა შორის, მისი დიდი დამსახურებაა ის კეთილგანწყობა, რომლითაც გამოირჩეოდა პრესის დამოკიდებულება ბოლნისის „სიონის“ მიმართ, სადაც აწ უკვე ყოფილი ჟურნალისტი უკანასკნელ დღეებამდე საქმიანობდა.**

# მოწოდება – ფეხბურთი

— ქვემო ქართლში 4 წელი გავატარე სალიცენზიო მენეჯერის პოსტზე. ჩემი გადასვლა ფეხბედნიერი გამოდგა — 4 თვეში ქვეყნის ჩემპიონები გავხდით (ჩვენი დიალოგი გუშინ, ბედობა დღეს ჩავიწერეთ. ვიმედოვნებთ, მისი ფეხი ჩვენი რედაქციისთვისაც სასიკეთო აღმოჩნდება — **გ.პ.**ძ.

**— როგორ გაიხსენებთ ბოლნისურ პერიოდს?**

— მართალია, უდიდეს წარმატებას მივაღწიეთ, მაგრამ ვერც იმ კურიოზულ ფაქტზე დავხუჭავთ თვალს, სასაცილოდ რომ მოგეჩვენებათ, სატირალი რომ არ იყოს. მხედველობაში მაქვს ბოლნისელთა აქილევსის ქუსლი — დოკუმენტაციის აბსოლუტური არარსებობა. იგულისხმება ისეთი წვრილმანები, როგორიცაა სალიცენზიო საბუთების, განცხადებებისა და წერილების აღურიცხაობა. მოკლედ, სრული დომხალი დამხვდა.

ტიტანური ძალისხმევით ვითარება თანდათან გამოვასწორეთ კლუბის მაშინდელი მესვეურების, უპირველესად — რაიონის გამგებლის გიორგი არევაძის თანადგომით. მეტიც — სათანადო ცვლაც მოვამზადეთ. იმავე პერიოდს დაემთხვა „სიონის“ ჩაბმა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდში. მოხდა სასწაული — გუნდმა, რომლის ბიუჯეტიც 1 მილიონი ლარი იყო, პირველ ეტაპზე მასზე ცხრამეტჯერ (!ძ უფრო მდიდარი მეტოქე „ბაკი“ დაამარცხა. ადვილი შესაძლებელია, აზერბაიჯანელთა ხვედრი ბულგარულ „ლევსკისაც“ გაეზიარებინა, მაგრამ საამისოდ სასელექციო პროცესის უკეთ წარმართვა გვმართებდა.

**— დავიჯეროთ, იმხანად ბოლნისელთა მთავარ მწვრთნელს კახი ცხადაძეს ეს საკითხი არ აღელვებდა?**

— როგორ არა, მაგრამ აქ ვაწყდებოდით საქართველოში უმტკივნეულეს თემას — უსახსრობას. მართალია, კლუბის სპონსორი სააქციო საზოგადოება „მადნეული“ მხარში გვედგა, მაგრამ საერთაშორისო სარბიელზე ღირსეულად სათამაშოდ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ამავე მიზეზით შეიძლება აიხსნას მოსკოვში, დსთ-ს თასზე ჩვენი მაშინდელი კრახიც.

მდგომარეობა დაფინანსების მხრივ უფრო და უფრო უარესდებოდა, რაც მეტნაკლებად კლუბის თითოეულ რგოლს შეეხო. შედეგად ყიფიანის თასის გათამაშებასაც გამოვეთიშეთ და ეროვნულ ჩემპიონატშიც დავთმეთ წამყვანი პოზიციები. ვფიქრობ, საკმარისი საფუძველი მქონდა სამსახურის შესაცვლელად. ასე აღმოვჩნდი ცხინვალის „სპარტაკში“, სადაც კლუბის დირექტორატის წევრობა შემომთავაზა მისმა პრეზიდენტმა დიმიტრი სანაკოევმა — ვკურირებ სასელექციო პოლიტიკას.

**— თქვენმა პიროვნულმა თვისებებმაც ხომ არ განაპირობა არჩევანი?**

— ასეც არის — როგორც ბუნებით მაქსიმალისტმა, ვამჯობინე ენერგია და გამოცდილება პრობლემასთან შესაჭიდებლად გამომეყენებინა. რადგან დევნილობაში მყოფი კლუბი ერთი შეხედვით უპერსპექტივო სატურნირო სიტუაციაშია ჩავარდნილი და ბოლო ადგილზეა, სალაპარაკო ჯერჯერობით ბევრი არაფერია და, მოდით, წერტილი ჩვენც აქ დავსვათ. ვიმედოვნებ, მეორე წრის შემდეგ სასაუბროდ გაცილებით ოპტიმისტური საფუძველი გვექნება.

**გია პლატონიშვილი**

◉ ინტერნეტიდან

## გადაიდო „დაკარი-2009“-ის მე-11 ეტაპი

**როგორც სამხრეთ ამერიკიდან იტყობინებიან, ძლიერი ნისლის გამო გადაიდო აფრიკიდან არგენტინა-ჩილეში გადატანილი რალი-რეიდის „დაკარი-2009“ მეთერთმეტე ეტაპი.**

ისევ კომაში იმყოფება ესპანელი მოტომრბოლი კრისტობალ გერერო, რომელიც ავარიაში მოხვდა რალი-რეიდის მე-10 ეტაპზე. 48 წლის გერერო მანქანიდან გადმოვარდა მარშრუტის 160-ე კილომეტრზე. გონდაკარგული მრბოლი ვერტმფრენით გადაიყვანეს ქალაქ კოპიალოს ჰოსპიტალში. ამ ქალაქში აიღო სტარტი და იქვე დამთავრდა რბოლის მეათე ეტაპი.



„დაკარ-2009“-მ უკვე შეიწირა ერთი მონაწილის სიცოცხლე. 7 იანვარს მკვდარი ნახეს ფრანგი მოტომრბოლი პასკალ ტერი. ის სამი დღით ადრე უგზოუკვლოდ დაიკარგა.

რბოლის დროს სერიოზული ტრავმები მიიღეს ბრიტანელმა მრბოლელმა პოლ გრინმა და მატეიუ ჰარისონმა.

## ღაზის სექტორში ფეხბურთელებიც დაიღუპნენ

**ღაზის სექტორში ისრაელის არმიის საბრძოლო მოქმედებების შედეგად სხვა მშვიდობიან მოქალაქეებთან ერთად დაიღუპა პალესტინის საფეხბურთო ნაკრების სამი წევრი — აიმან ალკურდი, შადი სბახე და ვაჯეხ მოშტაკე — ეს ცნობა ვრცელდება პალესტინის სპორტული სააგენტოს წარმომადგენელზე მუნტასერ დკაიადევზე დაყრდნობით.**



როგორც იტყობინებიან, ფეხბურთელები დაიღუპნენ თავიანთ სახლებში ისრაელის მხრივ დაბომბვის დროს.

დკაიდევის განცხადებით, ისრაელის არმიის ოპერაციების შედეგად მნიშვნელოვნად დაზარალდა სტადიონი Rafah, სადაც თამაშობდა პალესტინის ერთ-ერთი წამყვანი კლუბი Ahlie Alenserat.

ამ დროს კი, „დამატებითი“ არდადეგების შემდეგ, განახლდა ქვეყნის ჩემპიონატი სამ დივიზიონში. თუმცა ისრაელის ფეხბურთის ფედერაციამ (IFAძ გადაწყვიტა ჩემპიონატზე ზამთრის შესვენების გაგრძელება შვიდი დღით იმ ტერიტორიებზე, რომელთაც რაკეტებით ღაზის სექტორიდან ბომბავენ.

## არც დაესიზმრებოდა

**მამაკაცებში ძალზე პოპულარულ შვედ მოდელს ვიქტორია სილვესტედტს და მის მშობლებს არც კი დაესიზმრებოდათ, თუ რას უმზადებდა ბედი მათ. ბუნებრივია, მშობლები რაღაც კარგს უწინასწარმეტყველებდნენ შვილს, ასე იყო სამთო თხილამურებით გატაცებულ ვიქტორიას მიმართაც — მისგან ოლიმპიურ ჩემპიონს ელოდნენ. თითქოს ეს მოლოდინი მართლდებოდა. მომავალი პორნოვარსკვლავი პირველ დიდ წარმატებებს იხვეჭდა. მაგრამ მძიმე ტრავმამ სპორტულ კარიერას ხაზი გადაუსვა.**

თუმცა ლამაზმანი ვიქტორია ცხოვრებას არ გაურიყავს. მან მკერდი გაიდიდა და მალე გზაც გაეხსნა პოპულარული ჟურნალის „პლეიბოისკენ“.

ახლა ის იმედოვნებს, რომ დამდგარი 2009 წელი უფრო წარმატებული იქნება გასულ წელთან შედარებით. ასეთი სურვილი აქვს მის მათაყვანებელ ყოველ მამაკაცსაც. ალბათ ვიქტორიას დიდ გეგმებს წლეულსაც ახდენა უწერია.



**ინფორმაცია**

## „საქართველოს პრეზიდენტი საერთაშორისო დამნაშავეა“

**ოს სეპარატისტთა ლიდერი ედუარდ კოკოითი აცხადებს, რომ საქართველოს ახლანდელ ხელისუფლებას არა აქვს მორალური უფლება ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მოლაპარაკებები აწარმოოს, მანამ, ვიდრე თბილისი ოსი ხალხის გენოციდს ოფიციალურად არ აღიარებს.**

**ერთადერთ გამონაკლისად საქართველოს ახლანდელ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებისა სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის თავდაუსხმელობის მემორანდუმის გაფორმება შეიძლება იქცეს, — აცხადებს ოს სეპარატისტთა ლიდერი ედუარდ კოკოითი ცხინვალში გამართულ პრესკონფერენციაზე.**

**მისივე თქმით, მხოლოდ და მხოლოდ ამ პირობითაა იგი თანახმა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდეს.**

**იმიტომ რომ საქართველოს ხელისუფლების ადგილი მოლაპარაკებათა მაგიდასთან კი არა საერთაშორისო ტრიბუნალის მოსამართლის პირისპირაა. საქართველოს პრეზიდენტი კი საერთაშორისო დონის დამნაშავეა.**

**ეს ის ადამიანია, რომელსაც ხელები არა მხოლოდ ოსი ხალხის სისხლში აქვს გასვრილი, არამედ ქართველების სისხლშიც. იგი პასუხისმგებელია იმ ქართველი დედების წინაშე, რომელთა შვილებიც აქ საზარბაზნე ხორცად გამოუშვა, — აცხადებს ედუარდ კოკოითი.**



**მისივე თქმით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობა მზადაა საქართველოს პოლიტიკური ძალების იმ ნაწილთან სალაპარაკოდ, რომელთაც მართლაც აღელვებთ ქართველი ხალხის მომავალი და რომელიც საქართველოს ხელისუფლების სათავეში არა გაყალბებული არჩევნებით, არამედ ქართველი ხალხის რეალური არჩევნების შედეგად მოვა.**

## უშიშროების საბჭოს დიდი შტატი სჭირდება

**საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თანამშრომელთა რაოდენობა 22-დან 42-მდე იზრდება.**

**პრეზიდენტის ბრძანებულების მიხედვით, გაზრდილი საშტატო ერთეულით უშიშროების საბჭო მუშაობას პირველი თებერვლიდან დაიწყებს.**

**უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობრივი სარგო, პრეზიდენტის ბრძანებულების მიხედვით, პირველი თებერვლიდან 3540 ლარით განისაზღვრება.**

ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი

**წკეპლიკა**

# არც — მკვდრებში, არც — ცოცხლებში

**მეც „არაფერ მაქვ დასამალ“.**

**ბრჭყალებში ჩასმული ტაეპი ეთერ თათარაიძის მშვენიერი ლექსიდან ამოვილე, რომელიც დაბეჭდილია კრებულში „ქართული პოეზია საუკუნეთა მიჯნაზე“ (2006ძ.**

**უცნაური კრებულის მეტი რა მინახავს, ოლონდ ასე უცნაური — არაფერი!**

კაცი ვერ გაიგებს, რა კრიტერიუმით შეუდგენიათ წიგნი. კი, მას თან ახლავს შოთა იათაშვილის შესავალი სტატია „ქაღალდის დამმარცხებლები“, მაგრამ ეს წინასიტყვა ისე გაუგებარ-ამოუცნობია, როგორც ჯოკონდას ღიმილი. აქედან პატიოსანი მკითხველი აზრს ვერ გამოიტანს, ხოლო ჩიქორთული ქართულის ნიმუშებს — გოდრობით. წინასიტყვაობაში თითქმის ყოველი სიტყვა მცდარად არის წარმოდგენილი. ბატონ შოთა იათაშვილს წერა-კითხვა საერთოდ არა სცოდნია და ამიტომაც ერთმანეთშია ალუფხული სინტაქსური, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური, ენობრივი და აზრობრივი შეცდომები; გვხვდება ბუნდოვანი, გაუგებარი აბზაცებიც კი. ნუთუ ერთი რიგიანი სტილისტ-რედაქტორის გამოძებნა ასე გაუჭირდა „კავკასიურ სახლს“? ბოლოს და ბოლოს, თვითონ ქ-ნ ნაირა გელაშვილს, დიდებულ მწერალსა და მოქართულეს მაინც ჩაერთო ხელი ამ საქმეში!

ახლა მთავარზე მოგახსენებთ.

კრებულის ჭკუათმყოფელმა შემდგენელმა ილუზიონისტ კიოსავით აიქნია ჯადოქრული კვერთხი და, საუკუნეთა გასაყარზე თითქოს არც არსებულიყვნენ, ისე გააქრო მუხრან მაჭავარიანი და ანა კალანდაძე, ფრიდონ ხალვაში და ჯანსულ ჩარკვიანი, ემზარ კვიტაიშვილი, გრიგოლ ჯულუხიძე და შაბურა არაბული, არ გახსენებია არც ლაშა გახარია, არც ოტია იოსელიანი, რომელთაც სწორედ „ამ გასაყარზე“ შექმნეს ბრწყინვალე ლექსები.

სიტყვის ეს ოსტატები და კიდევ ბევრი სხვაც ჩვენს რედაქტორს არც მკვდრებში გაურევია, არც — ცოცხლებში.

ეს იმათზე მოგახსენეთ, ვინც ქაღალდი დაამარცხა.

ოლონდ ბალღმაც კი იცის: საუკუნეთა მიჯნაზე პოეზიას ქმნიან და ლიტერატურულ პროცესში მონაწილეობენ არა ოდენ წარმატებული ოსტატები, არამედ ნაკლებად წარმატებულნიც. განა ისინიც არ ქმნიან სათანადო ლიტერატურულ ამინდს, ვინც ქაღალდი ვერ დაამარცხა?!

რა თქმა უნდა, ქმნიან და ამ ტიპის წიგნში ისინიც უნდა შესულიყვნენ.

პროექტის ავტორს კი მოკრძალებით უნდა ვკითხო: — ქ-ნო ნაირა, მაინც რომელია სწორი — თქვენი გვარის ქვეშ დაბეჭდილი „ლიტოგრაფია“ თუ ლითოგრაფია?

ამდენ უაზრობაზე, უვიცობასა და შეცდომაზე პასუხს ვინ აგებს?

**მურმან თავდიშვილი**

**სამართალდამცავები**

# შსს-ში დაუსჯელობის სინდრომი გამეფდა

**ხედავენ რა თავიანთი ხელმძღვანელების თავგასულობას, რომელთათვისაც პასუხის მომთხოვნი არავინაა, შედარებით დაბალი რანგის ჩინოვნიკებიც მათი წაბაძვით ანალოგიურ დანაშაულობებს სჩადიან. განსხვავება რანგირების დროს ის არის, რომ იერარქიულ კიბეზე დაბლა მდგომთაგან ზოგს გასდის, ზოგი კი საზოგადოებისათვის თვალის ასახვევად ჩადენილისათვის მკაცრად ისჯება. როგორც შსს სისტემის ექსპერტები აცხადებენ, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, შერჩევითი სასამართლო მოქმედებს.**

### პოლიციის პოლკოვნიკმა გამგებელი მოკლა

**როგორც თვითმხილველები აცხადებენ, კახეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს მეექვსე განყოფილების აწ უკვე ყოფილ უფროსს ოთარ ბოლლოციშვილს კარგა ხანია დავა ჰქონდა გურჯაანის რაიონის სოფელ არაშენდას ასევე აწ ყოფილ გამგებელთან ალექსანდრე კვეზერელთან, პოლიციელი ცდილობდა სოფელ ქვედალოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნებისმიერი საშუალებებით მიტაცება-მისაკუთრებას. უკანონო ქმედებების განხორციელებაში მას ხელს კვეზერელი უშლიდა. მათ შორის დავა ხშირად მთავრდებოდა სიტყვიერი შეურაცხყოფით. ზოგჯერ გაწევ-გამოწევასაც არ ერიდებოდნენ.**

კახეთის საოლქო პროკურატურის გამოძიებული მასალების მიხედვით, აწ უკვე პოლიციის განყოფილების ყოფილმა უფროსმა მისი ხელისშემშლელის თავიდან მოშორება-ლიკვიდაცია გადაწყვიტა. ამისთვის იგი წინასწარ გამიზნულად ჩავიდა გურჯაანის რაიონის სოფელ ზაირში, იცოდა რა, რომ გამგებელყოფილი იქ იმყოფებოდა.

ბოლლოციშვილი ჩაუსაფრდა მის მიერვე მტრად გამოცხადებულს. იმ მომენტში, როდესაც კვეზერელი, მისი მეუღლე და მცირეწლოვანი შვილიშვილები პოლიციელის ჩასაფრების ადგილს მიუახლოვდნენ, პოლკოვნიკმა საკუთარი ტაბელური იარაღიდან „მტრის“ მიმართ ორჯერ გაისროლა. კვეზერელი მძიმედ დაიჭრა, იგი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. დამნაშავემ მიმალვა მოასწრო.

სამართალდამცავებმა ჯერ მკვლელობაში ეჭვმიტანილის ვინაობის, შემდეგ კი მისი ადგილსამყოფელის დადგენა მოახერხეს. ბოლლოციშვილი დააკავეს.

გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ მკვლელობაში ბრალდებულს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

### იარაღის სამართალი ბრუნდება?

**ნიკა ჩიგოგიძე, იურისტი, ანალიტიკოსი:** ჩვენ გვახსოვს არც ისე შორეული წარსული, როდესაც სამართალს იარაღი წყვეტდა. ეს იყო ჩვენი ქვეყნისათვის უსაშინლესი პერიოდი. იარაღის სამართალი გამეფებული იყო ყველგან და ყველაფერში. სამართალს ახალი სახეობის იმჟამინდელი კანონმდებლები ძირითადად ნახევრად შეიარაღებული, ნახევრად ყაჩაღური ორგანიზაციები გახდნენ. დღეს ანალოგიურს (ცხადია, მასშტაბებით შემცირებულსძ შსს-ს სხვადასხვა სტრუქტურების სხვადასხვა რანგის (განურჩევლადძ წარმომადგენლები სჩადიან. როგორც მაშინ „მხედრიონი“, „გვარდია“ და მათ მაგვარები იყვნენ აღჭურვილნი ხელშეუხებლობის იმუნიტეტით, დღეს შსს-ს თანამშრომლობაა დაუსჯელობის გარანტია. ამგვარი თავაშვებულობა კარგ შედეგს არ მოიტანს არც თავად სისტემისათვის და რაც ყველაზე მთავარია, ძვირად დაუჯდება საზოგადოებას“.

ექსპერტ-კრიმინალისტების განმარტებით, ხელისუფლებას სამართალდამცავები, განსაკუთრებით პოლიცია, იმის გამო ჰყავს თვითდინებაზე მიშვებული, რომ სწორედ შსს-ს აკეთებინებს იმ ბინძურ საქმეს, რასაც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთათვის ანგარიშსწორება და ოჯახის წევრების შანტაჟი, სატელეფონო საუბრების მოსმენა და სხვა მრავალი ჰქვია. გაწეული უკანონო, მაგრამ სიტყვაშეუბრუნებელი და მონური სამსახურისათვის კომპენსაციის გადახდაა საჭირო. თუ „ნაციონალებით“ დაკომპლექტებული მთავრობა ვერ ახერხებს გაწეულის ფულით ჯეროვან ანაზღაურებას, სამაგიეროდ ერთგულ ქვეშევრდომებს ყველაფრის ჩადენისთვის ხელ-ფეხი აქვთ გახსნილი. ერთგულებს იმის გარანტიასაც აძლევენ, რომ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულზე საზოგადოებაში აჟიოტაჟის ატეხვის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს მიზერულ განაჩენს. შემდგომ კი აუცილებლად შეეხებათ ამნისტია, შეწყალება (როგორც ახლა მოხდაძ და სულ რამდენიმე თვეში გაათავისუფლებენ.

**ზაზა ბილიხოძე**

**P. S. აღსანიშნავია, რომ მკვლელობა პოლიციის თანამდებობის პირმა იმ დროს (აგვისტოს შუა რიცხვებში) ჩაიდინა, როდესაც ჩვენი ქვეყნის თითქმის ნახევარი რუსი ოკუპანტების მიერ იყო დაპყრობილი და ჯერ კიდევ არსებობდა საფრთხე რუსული აგრესიის განვრცობისა.**

**ზ. ბ.**

**ვითხოვ სიტყვას!**

## სად დავკარგეთ „თ“?

**ავტობუსიდან ჩასვლისას, ჩემს წინ ახალგაზრდა დგას თუ ძველგაზრდა, ვეკითხები ხოლმე: ჩაბრძანდებით? მე თუ ვდგავარ წინ, ახალგაზრდები მეკითხებიან: ჩადიხარ? ამას წინათ მოლაზღანდარე ჯგუფს ერთი ბიჭი გამოეყო, ასე 17-18 წლისა და მეკითხება, ჯიგარო, სიგარეტი არ გაქვსო, გაქვთო კი არა, გაქვსო...**

**ანზორ გვარამია,**
**მწერალი.**

აფხაზეთის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა შპს აფხაზეთის ფსიქო-ნევროლოგიური დისპანსერის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი

გელა ბასილაია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

აფხაზეთის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრისა და იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილე, ქ. სოხუმის კომენდანტი 1992-1993 წლებში, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, გადამდგარი პოლკოვნიკი

მერაბ გამზარდია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

უახლოესი მეგობრები სამძიმარს უცხადებენ გოგი, დავით და თემურ მერმანიშვილებს მამის

უშანგი მერმანიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

„ლიბო ჯგუფი“ სამძიმარს უცხადებს ბატონ სოსო ჩხეიძეს დედის

ციალა კობიაშვილის (ჩხეიძეძ

გარდაცვალების გამო.

ცხადდება შპს „ევროპა ბილდინგისა“ ს/ნ 204523532 და შპს „ევრობილდინგის“ ს/ნ 200155438 შერწყმა, რომლის შედეგადაც შპს „ევროპა ბილდინგი“ წყვეტს არსებობას, ხოლო შპს „ევრობილდინგი“ აგრძელებს ფუნქციონირებას. შპს „ევროპა ბილდინგი“ ხდება შპს „ევრობილდინგის“ უფლებამონაცვლე.

გვეხმაურებიან

# „მავნებლები“



წყალი, რომელიც ამ საუკუნეში პრობლემად არ უნდა ქცეულიყო, დუშეთში კვლავ არ მოსულა. რა სიბინძურეს არ გაიგებ ამასთან დაკავშირებით. ჯერ იყო და, წყალსაქაჩზე, რომელიც ჟინვალიდან აწვდიდა წყალს დუშეთს, ასიათასობით ლარი დაიხარჯა. ცეზარ ჩოჩელმა კი თავისი მილების გასაღების მიზნით (ქარხანა ჰქონია) განიზრახა ძვირად ღირებული პროექტი „განეხორციელებინა“ ახალგორიდან წყლის მოსაწოდებლად. ახლა ამბობენ ესეც

## დუშეთს კვლავ არა აქვს წყალი!

„საქართველოს რესპუბლიკამ“ არაერთი წერილი უძღვნა დუშეთის წყლით მომარაგების პრობლემას. სამწუხაროდ, პრობლემა დარჩა და დუშეთი კვლავ უწყლოდაა. თქვენი გაზეთის პოზიცია, რომელიც მკითხველთა აზრით, ყველაზე სანდო, ტრადიციული და ჭეშმარიტად ეროვნულია, გვეიმედება, რომ კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ჩვენს გულისტკივილს და გამგონმა გაიგოს.

პრეზიდენტის შეპირებული შეცდომა და გაუაზრებელი იყოო. გვინდა მივმართოთ პრეზიდენტს, ნუთუ ამათი პასუხისმგებლობა არ უნდა დადგეს? იმათი, ვინც ამდენი სახელმწიფო თანხა ფლანგა და დუშეთს, რომელიც თბილისიდან სულ 40 კილომეტრშია, წყალი კვლავ არა აქვს. სწორედ ასეთ ადამიანებს უწოდებენ მავნებლებს...

შოთა დუდაური,
გოგი ყორიაული,
ალექსი ბექაური

ჩვენებურზე

# სად იხსნება და სად იხურება...



**სულ ახლახან რუსეთის დედაქალაქში მცხოვრებ გამოჩენილ ქართველ ფიზიკოს-თეორეტიკოსს, რმა-სა და სმეა-ს ნამდვილ წევრს, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძეს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაუხსნეს ელემენტარულ ნაწილაკთა და კოსმოლოგიის კათედრა და გაძღოლაც ანდეს.**

მსოფლიო სახელის მკვლევარს გასული წლის მიწურულს 78 წელი შეუსრულდა; როგორც ჩანს, ჩრდილოელი მეზობლები განათლება-მეცნიერების სფეროში თანამდებობის მიბოძებისას, პირველ რიგში ფიგურანტის ასაკიდან კი არ „გამოდიან“, არამედ პროფესიონალიზმიდან, ღვაწლიდან, დამსახურებიდან, ავტორიტეტიდან თუ „წონიდან“. ასეთ უმაღლეს სასწავლებლებში ასეთი კათედრის გამგეობის ჩაბარება, რასაკვირველია, ბატონი ალეკოს სახელის მორიგი გამორჩეული აღიარებაა.

დიახ, პატივცემულო მკითხველო, საქართველოში განათლებისა და მეცნიერების დარგების ყოჩაღი რეფორმატორების წყალობით — მინისტრები იქნებიან, რექტორები თუ ყბადასაღები ან უკვე ყბადაღებული თავისუფლების ინსტიტუტის ხელმძღვანელები — კათედრები იხურება, ხანდაზმული მეცნიერნი „იგნორირდებიან“ და საქმისგარე რჩებიან; რუსეთში ყველაფერი პირიქითაა...

თამაზ ებანოიძე

დაიჯესტი

## რომ არა ალფეროვი, უმობილურებოდ ვიქნებოდით

**მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულ, ნობელის პრემიას (თუკი ლიტერატურულს გამოვრიცხავთძ, მეცნიერები, უმეტესწილად, ისეთ**



**აღმოჩენებში იღებენ, რომელთა შედეგების პრაქტიკაში გამოყენება არცთუ ახლო მომავლის საქმეა. მაგრამ, ამასთან ერთად, არიან ნობელიანტები, რომელთა მეცნიერულ მიგნებას კაცობრიობა დიდი ხანია წარმატებით იყენებს. კერძოდ, ნობელის პირველი პრემია ფიზიკაში 1901 წელს „განსაკუთრებული სხივების „აღმოჩენისთვის“ მიანიჭეს ვილჰელმ კონრად რენტგენს. ამჟამად რენტგენის აპარატები ნებისმიერ პოლიკლინიკაშია. 1909 წელს მარკონი და ბრაუნი დააჯილდოვეს „უმავთულო ტელეგრაფიის შექმნაში შეტანილი გამორჩენილი წვლილისთვის“. 1956 წელს ნობელის პრემია მიანიჭეს „ნახევარგამტართა კვლევისა და ტრანზისტორული ეფექტის აღმოჩენისთვის“. 1986 წელს აღნიშნეს „დამსკანერებელი გვირაბული მიკროსკოპის“ შემქმნელები, რომლის გარეშე ახლა ნანოტექნოლოგიების ვერც ერთი სპეციალისტი სრულფასოვნად ვერ მუშაობს, ხოლო რუსი ფიზიკოსი ჟორეს ალფეროვი დააჯილდოვეს „ნახევარგამტართა ტექნიკის სფეროში მიღწეული წარმატებებისთვის“, რომელთა გარეშე თანამედროვე მობილური ტელეფონების შექმნა შეუძლებელი იქნებოდა.**

## დანაშაული და სასჯელი

**ჩვიდმეტი წლის ჭაბუკმა 18 წლის მეგობარი ქალიშვილი მოკლა, ერთი საათის შემდეგ ცხედართან დაბრუნდა და კიდევ ერთხელ დაამყარა სქესობრივი კონტაქტი. ცოტა ხანში იგი ნიუ-იორკში დაიჭირეს და არასრულწლოვანისთვის სასჯელის მაქსიმალური ზომა, 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. სასჯელის მოხდისას მას კვლავაც ჰქონდა სადისტური ეროტიკული ფანტაზიები, რის შესახებ გათავისუფლებამდე ერთი წლით ადრე ციხის ექიმს უამბო და სამედიცინო კონსულტაციის შემდეგ თხოვნით მიმართა სამკურნალო დაკოდვის თაობაზე. ექიმთა კომისიამ ოპერაციის თანხმობა გამოთქვა. უკვე რამდენიმე წელია ახალგაზრდა კაცი ციხიდან გაათავისუფლეს და ამ ხნის მანძილზე მას არანაირი სამართალდარღვევა არ ჩაუდენია.**

წკეპლიკა

# „შინდლერის“ სია

**„ტაშტი გატყდა, ხმა გავარდაო“... ტაშტი არა, მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტი კი „გატყდა“ და თავისგანვე „ჩარეცხილთაგან“ ნაწილი თურმე „ამორეცხა“ — საახალწლოდ შემწვარი გოჭი, ჩასაცივებული ინდაური, შამპანური და კონიაკი დაურიგა. ჰოდა, ხმაც გავარდა...**

საგულისყუროა, რა ნიშნით შეირჩა ის „დასაჩუქრებადი“ კონტინგენტი — ადვილად „მოთაფვლადები“ გამოჰყვეს? (თაფლის გოზინაყიც რომ შესულიყო ძღვენში, მოთაფვლა უფრო ლამაზი გამოჩნდებოდა...ძ; ოღონდ როგორიც არ უნდა ყოფილიყო ეგ კრიტერიუმი, ყველა ვარიანტში ეს აქცია წარმოდგა, როგორც საზოგადოებრივი უტაქტობა. კარგი იქნებოდა, რომ სანამ პირველი პირი ამ მეფურ ჟესტს „გაიღებდა“, რჩევა ეკითხა ვინმესთვის — კითხულისათვის; თუმცა რუსეთთან ომის დაწყება არ ჰკითხა არავის და გოჭსაცივ-შამპანურ-კონიაკის დარიგებას რატომ იკითხავდა...

ძალიან მეგულისყურება ეგ „შინდლერის“ ნუსხა, ანუ იმ „ცნობად“ პირთა ჩამონათვალი, ვინც პრეზიდენტის შემწვარ-ჩასაცივებულის ლაურეატი გახდა და მიეყიდ-მოეთაფვლინა მიხეილ დაღმამჭენებელს. ბიბლიის მიხედვით, იდუმალი ოდესმე გაცხადებული გახდება...

...სხვათა შორის, არც მე ვარ სხვაზე უკეთესი და როგორც რიგითი ჟურნალისტი ესა და ეს რომ იმ სიაში აღმოვჩენილიყავი, არა მგონია შემწვარ გოჭზე, ინდაურის საცივზე ან თუნდაც შამპანურ-კონიაკზე უარი მეთქვა... სხვათა შორის...

თამაზ ილმელი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87;
899 32-85-76.
კოსტავას 12

ხელოვნება



1795 წელს აღა-მაჰმად ხანის ლაშქართან უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულ „მაჩაბელას დასის“ უკვდავსაყოფად აღმართული ქანდაკი კრწანისის ბაღში.

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

ანეკდოტები

**— დედი, რას აკეთებს წერო მას შემდეგ, რაც ბავშვს მოიტანს ხოლმე?**

**— რას და, კედლისკენ გადაბრუნდება და ხვრინვას იწყებს.**

* * *

**— ფუი! ვინ არის იქ, ძაღლივით რომ ყმუის?**

**— მე ვარ, დედი.**

**— აჰ, შენ ხარ? იმღერე, იმღერე, ჩემო ბულბულო...**

* * *



**— სახლში ვეფხვივით ვიქცევი!**

**— ეს როგორ?**

**— ოთხზე შემდგარი დავდივარ, თანაც — უხმაუროდ...**

* * *

**საზოგადოებრივი ტუალეტის სიახლოვეს ზანგი შარდავს.**

**— რას ჰგავს ეს, როგორ არა გრცხვენიათ! ამის გაკეთება ტუალეტში არ შეიძლება? — უსაყვედურებს მას მეეზოვე.**

**— არ შეიძლება, ვასია ბიძია. იქ თეთრკანიანი ბატონი ღვინოს სვამს.**

* * *

**სვანმა ტოტალიზატორში დიდძალი ფული მოიგო.**

**— როგორ მოახერხე ამდენის მოგება? — მოსვენებას არ აძლევენ ძმაკაცები.**

**— აბა, როგორ გითხრათ... სიზმარში ექვსი შვიდიანი ვნახე. მეც ორმოცდაცხრაზე ჩავედი ფსონს და მოვიგე.**

**— შენც მაგარი ხარ, რა... ექვსჯერ შვიდი ხომ ორმოცდაორია! — იფხრიწება სიცილით ერთი.**

**— ჰოდა, რაკი ასეთი განათლებული ხარ, იარე მასე ტიტლიკანამ...**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.